1926 წ. ოქტომბერი.
№ 10.
ფასი 2 ფრ.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Édition mensuelle
1926. — OCTOBRE N 10
Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

ევროპის სტაბილიზაცია.

დიდი ომის შემდეგ ეს პირველი წელიწადია, როცა გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ევროპის სტაბილიზაციის ხანაში შევსდგით ფეხი. ამის მაჩვენებელი გადამწყვეტი მოვლენა ჩვენს უკანაა: გერმანიის ერთა ლიგის წევრად გახდომა და ლოკარნოს შეთანხმების ძალაში შესვლა.

ამით სასტიკი დამარცხება იგემა რევანშის პოლიტიკამ და გაიმარჯვა სავალდებულო არბიტრაჟის პრინციპმა საერთაშორისო დამოკიდებულებაში. უფრო ზოგადათ, მაგრამ არსებითათ, ეს მოასწავებს რეაქციის დამარცხებას და დემოკრატიის გამარჯვებას.

დემოკრატიამ ერთხელ კიდეც დაამარცხა რეაქცია... ბრძოლის ველზედ. გაიხსენეთ, რა მოუვიდათ ჰოჰენცოლერნებს, ჰამბურგებს, რომანოვებს, წინასწარმეტყველის შთამომავალთ. მაგრამ ვერსალის ზავმა იმედები გაუცრუა კაცობრიობას, მან ასაფეთქებელი მასალა ბლომათ დასტოვა. ჩვენ ვიყავით «რურის» მოწმე, როცა ახალი ქარტეხილი არც ისე შეუძლებელი იყო.

ვერსალის ზავს დართული ჰქონდა ვილსონის პაქტი, და ეს ბევრს მწარე დაცინვად ეჩვენებოდა. ამბობდენ, ერთა ლიგა განმეორებაა მეტერნიხის «სალვთო კავშირის» და მიზნად მხოლოდ არსებულ ხელშეკრულებათა დაცვას ისახავსო. სანამ ევროპის შუაგული, გერმანია, განზე იდგა, ეს ანალოგია არ იყო საფუძველს მოკლებული.

მაგრამ გავიდა ხანი და ის, რაც ვერსალში «დამატებად» გამოცხადდა (პაქტი), თავში მოექცა მთავარ დოკუმენტს (ზავს), და, გერმანიის ლიგაში შესვლის თანავე, უკვე იწყება უკანასკნელის «შესწორებაზე» ლაპარაკი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ბრიან-შტრეზემანის ისტორიული «საუზმე» ტუარში, სადაც მსჯელობის საგანი გერმანია-საფრანგეთის დაახლოება იყო.

ამ გაბედულ ნაბიჯს წინ უძღოდა რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ წესწყობილების განმტკიცება გერმანიაში, ერთის მხრით, და გერმანია-საფრანგეთის სავაჭრო შეთანხმება, მეორეს მხრით. არა ნაკლებ საყურადღებოა ორივე ქვეყნის ზოგ მნიშვნელოვან სამრეწველო ტრესტების დაარსება. მათ შორის, ფოლადის უდიდეს ტრესტის პირობას ეს არის ხელი მოაწერეს.

დიდი როლი ითამაშა აგრეთვე შეერთებულ შტატების აშკარა მიდრეკილებამ «ძველი ქვეყნის» ფინანსიურათ დაპყრობისაკენ. მთელი ევროპა ვალდებულია მილიარდები უხადოს ამერიკას და ესეც, სარგებლობს რა ამ გარემოებას, კიდევ უფრო შეუბრალებლათ ხლართავს პირველს ახალ-ახალ ფინანსიურ ოპერაციებში. ევროპაში ფეხს იკიდებს შეგნება, რომ საჭიროა საერთო ძალ-ღონით გამკლავება ამერიკის მადასთან.

ამ შეგნების არაპირდაპირი საბუთი ერთა ლიგის მე-7 ყრილობამ მოგვცა, გასულ სექტემბერს, როცა მან გადასწყვიტა საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციის მოწვევა: იქ დაისმის სწორეთ კითხვები მრეწველობისა და ალებ-მიცემობის მთავარ დარგების ერთგვარი რეგლამენტაციისა. უკვე ლაპარაკობენ ნედლი მასალის რაციონალურათ განაწილებაზე სახელმწიფოთა შორის, დამუშავებულ ფაბრიკატების პროპორციის დაწესებაზე თვითეულისთვის, საერთო ბაჟებზე, ვალიუტაზე, კრედიტზე და სხ. უფრო შორსაც მიდიან: სვამენ კითხვას ევროპის შეერთებულ შტატებზე.

ერთა ლიგამ მეორე კითხვაც დააყენა დღის წეს-რიგში, ეს არის განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ახლო მომავალში. იჭვს გარეშეა, ამ უდიდეს მნიშვნელობის და რთული კითხვის გადაჭრა ბევრი სხვადასხვა ფაქტორისაგან არის დამოკიდებული. მაგრამ მათ შორის პირველი ალაგი უნდა დაეთმოს გერმანიის უშუალო თანამშრომლობას როგორც ლიგაში, ისე მის საბჭოში, აგრეთვე იმ ცდას, რომელსაც ეხლა აკეთებენ გერმანია-საფრანგეთის დაახლოებისათვის. ცდა არც ისე ადვილია, თუმცა მის განსახორციელებლათ, ლოკარნოს გარანტიების შემდეგ, არ არიან შეზღუდული დროთი, რომელიც ბოლოს და ბოლოს უებარი მალამოა ჭრილობათა შესაზრდელათ.

არ არის ადვილათ წარმოსადგენი ყველა ის განუზომელი შედეგები, რომელიც მოჰყვება გერმანია-საფრანგეთის შეთანხმებულათ გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზედ. ერთი, ყოველ შემთხვევაში, ამ თავითვე ცხადია—ეს ის, რომ ვერავინ შესძლებს მშვიდობიანობის დარღვევას ევროპაში.

ბევრს ლაპარაკობენ მუსოლინის და მის მიმდევართა (იტალიის გარეთ) შავ განზრახვებზე ერთა ლიგის და საზოგადოთ მშვიდობიანობის წინააღმდეგ. ამ მითქმა-მოთქმაში მართალია ის, რომ შავი დიქტატურა, ისე როგორც წითელი, ვერ ითმენს საერთაშორისო რეგლამენტაციას და ლამობს მის გარღვევას. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, მუსოლინი არც ისე გულადია გარეთ, როგორც შინ. ის იძულებული შეიქნა, მაგ., ლოკარნოს მიკედლებოდა, მიუხედავათ დიდი ქარ-ბუქის აყენებისა მასზე ადრე. იგივე დავინახეთ ჟენევაში წრეულს: პრიმო დე რივერამ უმთავრესათ მუსოლინის ჩაგონებით წაუყენა ლიგას ულტიმატუმი და, რომ არ გასჭრა, უბრალო თავმოყვარეობა მოითხოვდა ისპანიის გასვლას ლიგიდან, ხოლო მისმა წამქეზებელმა პირში წყალი დაიგუბა, თითქოს აქ არაფერიაო.

ასევე სასაცილოთ ჩაიფუშა ლივორნოს ინტრიგა, სადაც მუსოლინ-ჩემბერლენის შეხვედრას ახასიათებდენ, როგორც ბრიან-შტრეზემანის შეხვედრის წინააღმდეგ მიმართულს. ჩემბერლენმა ნახა შემდეგ ბრიანი, და უკანასკნელმა განუცხადა პრესას, რომ მე ვიცოდი წინდაწინ ჩემბერლენის მუსოლინთან შეხვედრა, ისე როგორც ჩემბერლენმა იცოდა ჩემი შტრეზემანთან შეხვედრაო. აქედან ცხადია, რომ ლონდონი ჩახედულია პარიზისა და ბერლინის კომბინაციაში, და რომს დარჩენია მათ მიზდიოს კუდში. იმის მტკიცება, ვითომ ფაშიზმმა ასწია იტალიის წონა საერთაშორისო სასწორზედ, ზღაპარია, ბალღების მოსატყუებლათ მოგონილი. ხოლო როცა იტალიის დიდი ერი განთავისუფლდება მუსოლინის დესპოტიისაგან, ის გვერდში ამოუდგება იმ ერებს, ვინც მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფვის დემოკრატიულის გზით.

მაშასადამე, გერმანია-საფრანგეთის ახალი გეზი შეიძლება ევროპის პოლიტიკის ნამდვილ ღერძად იქცეს. აქედან კი მეორე შედეგსაც უნდა გამოველოდეთ, რომელიც უაღრესი მნიშვნელობისაა ჩვენთვის.

საყოველთაოთ ცნობილია, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი გამოწვეული იყო იმით, რომ არსებობდა საუკუნოებრივი მტრობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. მუდმივი შიში რეინიდან რესპუბლიკანურ საფრანგეთს აიძულებდა არაბუნებრივ კავშირში შესულიყო დესპოტიურ რუსეთთან. დღესაც არა ერთი და ორი ცნობილი ფრანგი ოცნებობს ძველი კავშირის აღდგენაზე რუსეთთან, როგორც კი ბოლშევიზმი დაემხობა. მაგრამ იმ წუთიდან, როცა ეს შიში გაჰქრება, ე. ი., როცა დაიწყება გერმანია-საფრანგეთის მჭიდრო თანამშრომლობა, საფრანგეთის მიდრეკილება რუსეთისაკენ ჰკარგავს აზრს და უნდა გაჰქრეს.

საფრანგეთმა კიდევ ვერსალის ზავიდან აუღო ალღო შექმნილ მდგომარეობას, როცა მან აღადგინა დიდი პოლონეთი, რომელთანაც ის სამხედრო კავშირშია. პოლონეთს და «მცირე ანტანტას» უნდა გაეწია საფრანგეთისთვის რუსეთის მაგიერობა გერმანიის წინააღმდეგ.

ისმის მეორე ამოცანა: გერმანია-საფრანგეთის დაახლოებას ლოღიკურათ გერმანია-პოლონეთის დაახლოება უნდა მოჰყვეს. ამის პირველი ჟესტი ჩვენ ისევ ჟენევაში ვიხილეთ, როცა შტრეზემანმა პოლონეთის ლიგის საბჭოში დაშვების სასარგებლოთ მისცა ხმა. უფრო არსებითია ის გარემოება, რომ მარშალი პილსუდსკი გადაჭრით დასავლეთის ორიენტაციის მომხრეა.

საფრანგეთ-გერმანია-პოლონეთი, განუწყვეტელი ხაზი ატლანტიკიდან ბალტიის ზღვამდე, დასახლებული 140 მილიონი სულით, უძლიერესნი როგორც სამხედრო, ისე ტეხნიკური და ინტელექტუალური ძალებით—უკვე ისეთი დიდი ფაქტორია, რომ მას უნდა გაუწიოს ანგარიში მთელმა მსოფლიომ.

მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთმაც. რა ზედ-გავლენა ექნება ევროპის სტაბილიზაციას და მის პოლიტიკის ახალ ორიენტაციას რუსეთზე და იქ დასახლებულ ერებზე,—ეს უკვე დამოუკიდებელი თემაა და ამაზე სხვა დროს უნდა შევჩერდეთ.

რუსეთის მდგომარეობა.

ეხლანდელი რუსეთი თავისი მდგომარეობით უკვე განწირულია. ის მსხვერპლად შეეწირა თავის გეოგრაფიულ მდებარეობას, პოლიტიკურსა და ეკონომიურ-კულტურულ სისუსტეს.

რუს სახელმწიფო მოღვაწეთა ზრუნვა და შრომა იქითკენ იყო მიმართული მე-18 და მე-19 საუკუნეში, რომ თბილ ზღვებისაკენ ეშოვათ გასავალი და მჭიდრო საბჯენი პუნქტები. მე-19 საუკუნის მანძილზე რუსეთმა მოასწრო სტრატეგიულად ხელსაყრელ პოზიციის მომაგრება და ძალთა შემოკრებვა საუკუნოებრივ მიზნების მისაღწევათ და დიად ზრახვათა განსახორციელებლად: შორეულ-აღმოსავლეთში დიდი ოკეანესაკენ გაჭრა და მთელი სანაპირო ხაზის დაკავება წინამდებარე კუნძულითურთ; სამხრეთით კი შავი ზღვის რუსულ ზღვად გადაქცევა და ხმელთა შუა ზღვისაკენ სრუტეებში გავლენის იმ ზომაზე გაძლიერება, რომ სტამბოლისა და ხმელთა შუა ზღვის საკითხი მხოლოდ ღა დროის საკითხათ მიიჩნეოდა. დასავლეთით მთელი ბალტიკუმი საკუთარ ხელში დაიჭირა.

მეოცე საუკუნის თაობას მსოფლიო ომში უნდა გაემაგრებინა წარსულ თაობათაგან გადმონაცემი სახელმწიფოებრივი ძლიერება, გაეფართოებინა და განესრულებინა აღებულ გეზით იმპერიის საზღვრები და თბილ ზღვათა დაუფლებით საკუთარ ერის მომავალიც უზრუნველ ეყო და მსოფლიო პოლიტიკის მთავარი ღერძიც—ე. ი. ზღვებზე ბატონობა—ხელთ ჩაეგდო. სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში უსუსტა რუსეთს შინაგანმა ძალამ: სულიერმა და ფიზიკურმა. ჯერ იაპონიის ომის ბოლომ დაამტკიცა, რომ წარსულით ნაანდერძევ ამოცანათა შესრულება რუსეთის მაშინდელ თაობას არ შეეძლო. ხოლო მსოფლიო ომმა კი სავსებით გააშიშვლა რუსეთის მორალურ სულიერი სისუსტე და სრული უძლურება. მიუხედავად საუკუნოებრივ სამხედრო, ტეხნიკურისა და ფინანსიურ მზადებათა, უთვალავ სიმდიდრისა და დოვლათის შექმნა-დაგროვებისა, მცხოვრებთა ძალზე გამრავლებისა და შედარებით წარსულთან უკეთ გაწრთვნისა, მთელი მსოფლიოს ყველა სათვალავში მყოფ სახელმწიფოთა აღურაცხელ დახმარებათა და შეწევნათა ფულით, ძალით, ჯარით თუ აზრით და რჩევით,—ყველა ამაების მიუხედავად რუსეთი დამარცხდა, დაიმსხვრა და სამი საუკუნის განმავლობაში შექმნილ-ანაგები სამ თვეში დაირღვა, დანაწილდა და განიბნია. სულიერ-კულტურულ ძალთა სისუსტე ვერ დაჰფარა ვერავითარმა ხელოვნურად შექმნილმა, გარედან მობერილმა ოსტატობამ. დაშლილისა და დავარდნილ რუსეთის მაშველად მხოლოდ და ბოლშევიზმი წარმოშვა რუსის ხალხმა. ბოლშევიზმი უკვე თითქმის მეათე წელია რაც რუსეთს ჰფლობს და ჰლამობს კიდეც ერთგვარი შინაგანი და საგარეო სტაბილიზაციის შეჰქმნას. შინაურს ვითარებაზე შემდეგ ვისაუბროთ. ეხლა გადავხედოთ მის საგარეო მდგომარეობის უცილობელს ფაქტებს.

მის უშუალო მეზობელთა შორის ყველაზე უძლიერესი იაპონიაა, და ყველაზე უსაშინელეს დაკვრას ეს უმზადებს. ჯერ შარშან აგვისტოში განაცხადა ზედა-პალატის ერთმა წევრმა, რომ არც ამერიკა და არც ინგლისი არაა იაპონიის მტერი, და იაპონიას ამ სახელმწიფოთაგან არავითარი საფრთხე არც ეხლა და არც მომავალში არ მოელის; რომ სამაგიეროდ იაპონიას აურაცხელი საფრთხე მოელის და იაპონიის ბედს დიდ ხიფათს უმზადებს მისი ნამდვილი მტერი, რუსეთი, რომელიც მტერია ეხლა და მტრად დარჩება შემდეგშიც; რომ იაპონიის მთელი ძალა ამ მტრის წინააღმდეგ უნდა იქნეს



ვარლამ ჩერქეზიშვილი.

მიმართული. ამ სიტყვის შემდეგ ერთმა წელმა განვლო, რომლის განმავლობაში ინგლისის მუშაობაც ძალზე შენელდა სინგაპორეს ანტი-იაპონურ სიმაგრეთა გაძლიერებისათვის და ამერიკის პოზიციაც შესამჩნევად მორბილდა იაპონიისადმი.

ინგლის-ამერიკასთან საკონფლიქტო საკითხთა შორის უმთავრესი კოლონიზაციის საკითხია; ახალშენთა რაზმები აღარ იგზავნებიან ინგლის-ამერიკის გავლენის სფეროებში, არამედ მათ სხვა გზისკენ მიმართავს იაპონიის მთავრობა. ეს რაზმები მცირე-რიცხოვანი არაა, წელიწადში ათეულ-ათასებს უდრის, და მათი მიმართულება დასავლეთისაკენ ე. ი. ციმბირისაკენ უნდა იქნეს აღებული. ასეთ გადაწყვეტილებას იაპონიის მთავრობა ვერ მიიღებდა, რომ მას ეს ახალი ზომა საერთაშორისო შეთანხმებით უზრუნველყოფილი არ ქონდეს.

უკეთეს დახასიათებას ჩინეთი იძლევა: მანჯურიის დიქტატორი ჩან-სო-ლინი შარშან რუსეთ-ჩინეთის საამხანაგო რკინის გზას დაეპატრონა ძალით და მისი გამგე ივანოვი შეიპყრო; შემდეგ ისევ შეუშვა ხელი, მაგრამ წრეულს რკინის გზის ფლოტილიას (მდინარე სუნგარზე) და სამოსწავლო დაწესებულებებს დაეპატრონა. ჩიჩერინმა ნოტები ბევრი სწერა საპროტესტოთ, მაგრამ ამაოდ. მეორეს მხრით, ჩინეთის მთავრობამ მიაღწია ელჩ ყარახანის პეკინიდან გაწვევას. თუ ჩინეთი, სამოქალაქო ომში გახვეული, ამას უბედავს რუსეთს, სჩანს ლომს სიბერით კბილები ჩასცვივნია და ძალა გამოსცლია. იაპონია-ჩინეთის ინტერესი და მოქმედება ცხადად მოწმობს შემდეგს მიზანდასახულობას: რუსეთის გაძევება მანჯურიიდან და მონღოლიიდან.

ჩუმი, მაგრამ არა ნაკლებ მძლავრია ის საფრთხე, რუსეთს რომ თურქესტანიდან მოელის. თურქესტანი მზადებაშია, მას გავლენიანი მოკავშირე და ინსტრუქტორები ჰყავს. ამ მოძრაობასაც რუსის განდევნა აქვს მიზნად შუა აზიიდან. ავღანისტანიც ანტირუსულ ორიენტაციისაკენ გადიხარა მწარე გამოცდილებით (ბოლშევიკების თავდასხმის შემდეგ დასავ.-ჩრდილო საზღვრებზე წყლის კუნძულის დაკავებით). ოსმალეთი, მიუხედავათ მოსკოვთან ფორმალურ მეგობრობისა, უკვე გზებს ეძებს, ერთა ლიგისკენ მიმავალს. აქაც ფეხს იკიდებს ორიენტაცია დასავლეთური.

მოსკოვმა კარგი ხანია იგრძნო, რომ აზიაში საქმე წაგებული აქვს და მთელი მისი ძალღონე ბალტიკუმზე შეაჯგუფა და დასავლეთის საზღვრებს მიაპყრა, სადაც განდიდდა და გაძლიერდა მისი ისტორიული მეტოქე პოლონეთი, რომლის ზრდა-განდიდება ისტორიულად რუსეთის დაცემასა და წახდენას მოასწავებს. რუსის საზღვრის მარცხენა ფერდოში თუ ძლიერი პოლონეთი ჰყავს მოსკოვს, მარჯვნივ არა ნაკლებ გამაგრებული პატრიოტიული ფინეთი უზის მას. ამათ შორის ესტონეთ-ლატვიის ხაზია, რომლის ხელთ ჩაგდებას სცდილობს მოსკოვი, მაგრამ პოლონეთ-ფინეთის გავლენით ყოველი ცდა დღემდე მარცხად დაუმთავრდა: კოლექტიურ ნოტაში მოსკოვს აგრძნობინეს ბალტიის რესპუბლიკებმა, რომ ისინი უფრო პოლონეთ-ფინეთთან იქნებიან ვიდრე მოსკოვთან. მათ ზურგს უმაგრებს მათი მეგობრები დასავლეთ ევროპაში: ინგლისის ფლოტის მოგზაურობა წარსულ წელში, საფრანგეთის სამხედრო ვიზიტი გდინაში—პოლონეთის სამხედრო პორტში—ძალზე აბრაზებს მოსკოვს, ხოლო ძალიან აიმედებს უკრაინასა და ბელორუსიას, რომლის სეპარატისტებს გამუდმებული კავშირი აქვთ რუსეთის მტრებთან. მოსკოვი თავის მტრად პოლონეთსაც ჰსახავს, რომლის გენ. პილსუდსკი დიდ მეგობრად ითვლება უკრაინელთა და თეთრ რუსთა (ბელორუსია). ბოლშევიკების შიში იმდენად დიდია პოლონეთის გავლენისა და უკრაინა-ბელორუსიის სეპარაციისა, რომ მათ პოლიტიკური ტერორი თვით უცხოეთშიც გადმოიტანეს: არ მოერიდნენ პეტლიურას მოკვლას, რომელსაც მისი მეგობრებიც მიაყოლეს. «პრავდა»—«იზვესტია» თვითვე მოწმობენ, რომ დასავლეთ საზღვრებზე რუსეთს იშვიათი მტერი ჰყავს, რომლის ინტერესია რუსეთის საზღვრები ველიკოროსიის ეთნოგრაფიულს კალაპოტში ჩააყენოს, დაახევიოს რაც შეიძლება შორს აღმოსავლეთისკენ.

თუ 1914—1918 წ.წ. მეომარ გერმანიას მსოფლიოს უდიდესი ნაწილი მტრად გადაეღობა წინ, მაგრამ ორიოდე მეგობარი მაინც შერჩა, ეხლანდელ ბოლშევიკურ რუსეთს მთელი მსოფლიო მტრულად უყურებს, ზოგიერთნი სახელმწიფონი დაინტერესებულნიც კი არიან მისი ძალზე გაფართოებულ სივრცის შემცირებაში და არა რუს ერთა მისგან ჩამოცილებაში. თვით გერმანია ერთა ლიგის წევრი—მოსკოვის მუქარა-გაფრთხილებათა მიუხედავად—შედის დიდ სახელმწიფოთა ეკონომიურ შეთანხმებაში, რომლის ფუძეა რკინა-ფოლადის პაქტი გერმანიისა, საფრანგეთის, ბელგია, ლუქსენბურგის მონაწილეობით. ამათი ეკონომიური შეთანხმების საგანი სხ. შორის და უმთავრესად ბაზრის განაწილებაა. უდიდესი ბაზარი ევროპაში კი რუსეთია. გერმანია ძალზე მომზადებული დაჰხვდა მსოფლიო კონფლიქტს: ფინანსიურად, ტეხნიკურად,

ეკონომიურად, კულტურულად, ეროვნული სულიერი გაერთიანების სიმტკიცით. ამიტომ ომს ოთხი წელი მაინც გაუძლო, თუმცა დამარცხდა. რუსეთი კი, მოწინააღმდეგეთაგან შემოსალტული, გაპარტახებული და სულიერად შინვე განყოფილი, ოთხ თვესაც ვერ გაუძლებს თავის უშუალო ორიოდე მეზობლის შეთანხმებულს დაკვრას, რომელიც შესაძლოა საჭიროც კი არ გახდეს რუსეთის სახელმწიფოებრივი სხეულის შინაგან დაავადების გამო.

რუსეთს არა ჰყავს ნამდვილი მოკავშირე და არც აქვს ძალა და საშუალება შესცვალოს მსოფლიო პოლიტიკის ტენდენცია, მიმართული მის ეკონომიურად დამორჩილებისა და ეროვნულ დანაწილებისაკენ.

ტიტე მარგველაშვილი.

«ჯაყოს ხიზნები».

«ჯაყოს ხიზნები» დაწერილია ცუდ დროს და ცუდი დროისთვის. მასში გამოსჭვივის თვით ავტორის ბედი. მიხ. ჯავახიშვილი ერთ დროს ჩვენს რიგებში იდგა და ებრძოდა თავის ქვეყნის მტრებს. 1923 წელს დაიჭირეს და ირწმუნებიან, რომ ბოლშევიკებმა თერთმეტჯერ დაუპირეს დახვრეტა. მეთორმეტეჯერ ის გაანთავისუფლეს და დასწერა სუსტი ნაწარმოები.

თქმა არ უნდა, ის, რასაც ბოლშევიზმი ჰქვიან, «ჯაყოს ხიზნებში» თამამად არის აწერილი. ავტორმა მას სასტიკი სარკე აუყუდა წინ. ამაში ჯავახიშვილი უსათუოდ ნიჭიერია. მაგრამ რომანში სრულიად არა სჩანს ბოლშევიზმის მეტოქი ცხოვრება, რომელიც ასე მედგრად ებრძვის მას და ეს ნაკლი რომანს სიმართლეს უკარგავს. რად მოხდა ეს? ნუ თუ მართლა ჯაყო ისეთი გამარჯვებულია, რომ დასთრგუნა ცხოვრების სხვა დასაწყისი? ეს რომ ასე იყოს, ჯაყო ცოტა უკეთესი იქნებოდა. მაგრამ მისი ჯაყო უმზგავსია და ეს იცის თვით ავტორმაც. და არა თუ იცის, მისი ნამდვილი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ცხოვრება ასე მთლიანად აელო ხელში და ჩვენთვის ეს მეტოქეობა და ბრძოლა ეჩვენებინა. მაგრამ ავტორს ცხოვრება ძირს დაუვარდა და ხელში მარტო ჯაყო შერჩა. ამ ხელში ჯაყო გაიზარდა, წვერი გაიკრიჭა, თმა დაივარცხნა და ცოლი შეირთო.

რა დაემართება ოჯახს ბოლშევიკურ წესწყობილებაში, თუ ქმარი «პრინციპის» კაცია, არ ურიგდება ახალ წესებს. ლაპარაკობს ბევრს და აკეთებს ცოტას?. ავტორი ამბობს, რომ მოვა ჯაყო, ცოლს თითონ წაიყვანს და ქმარს კოოპერატივში ჩააყენებს. კოოპერატივი აქ ნახმარია როგორც ბოლშევიკური ფენომენი. რა არის ეს კოოპერატივი, ან «კაპრატივი», როგორც უძახის მას ჯაყო? საბჭოთა საქართველოში კოოპერატივი ის კუნძულია, სადაც უნდა მისცურო, თუ გინდა რომ ბოლშევიკურმა ზღვამ არ ჩაგძიროს. მაგრამ ავტორი აგვიწერს ისეთ შემთხვევას, როცა კოოპერატივიც ვერა გშველის და ამ ხელად უკვე თვით ბოლშევიზმი იძირება. მართლაც, რა საზოგადოებაა ის საზოგადოება, სადაც ოჯახს ისე არ ეცხოვრება, თუ ცოლი ჯაყოს არ მისთხოვდა და ქმარი ამ ქორწილს არ დაესწრო?

რომანის შინაარსი მარტივია. არიან ცოლქმარი: მარგო და თეიმურაზი. ადვილად წარმოიდგენთ რა უნდა იყოს მათი ყოფა, როცა ახალმა წესწყობილებამ ყველაფერი წაართვა, ქონება და საზოგადო ასპარეზიც (თეიმურაზი დიდი მემამულე და საზოგადო მოღვაწეა), როცა ძველი დროებით მაინც წასულია, და ახალს თეიმურაზი არას გზით არ ურიგდება! სილატაკე, შიმშილი, მცონარეობა და ლაპარაკი! აი ასეთ დროს მოდის მათთან მათი ნამოურავალი ჯაყო, რომელიც დღეს მათი ქონების პატრონია იქ, სოფელში და თავის დამშეულ ნაბატონარებს თავისთან იპატიჟებს. ლუკმა-პურის ამბავია, ვინ არ დაუძრავს მას ადგილიდგან და გარდა ამისა იქ, სოფელში, კოოპერატივიც არის, სადაც თეიმურაზი უკომპრომისოდ იმსახურებს. მართალი უნდა ითქვას, მარგოს-თეიმურაზის ცოლს, ეს აზრი თავშივე არ მოეწონა. ეს არის ერთად ერთი ნათელი ადგილი მთელს რომანში, სადაც ეს საცოდავი არსება წმინდა ქალურ ალღოს და პეწიწ გემოს იჩენს. მაგრამ თეიმურაზი წასვლაზედ თანახმაა, და ერთ მშვენიერ დღეს კიდევაც წავა ჯაყოსთან, რათა მარგოს ჩამოსვლამდე, ყოველივე მათთვის საჭირო, წინასწარ მოამზადოს. წავიდა ბოლოს ქმართან თითონ მარგოც. მაგრამ სადგურზე მას ქმარი კი არ უხვდება, არამედ ჯაყო. და ეს ჩვეულებრივი მოვლენა ძველ აზნაურულ საქართველოში, მოურვისაგან ქალბატონის დახვედრა, ახალი რომანის საბაბი ხდება. ჯაყო ნამდვილი პირუტყვია. უკეთეს მოწიწებას ჯაყო ჩემში არა სძრავს. ვერ მოეწონებოდა ის მარგოსაც. მაგრამ ჯაყო განგებ იგვიანებს გზაში, ბინდისას ურემი ტყეში გადაჰყავს და აქ ხდება ნამდვილი შეგინება მარგოსი, როცა ჯაყო ძალით დაეუფლება მას. თავისთავად ეს ფაქტი ავაზაკობა არის, შეუძლიან ჩაიდინოს არა ჯაყომაც და შესაძლებელია მოხდეს სხვაგანაც. მაგრამ ამაზედ ყველგან ოქმს შეადგენენ და ჯაყოს იქ გაგზავნიდენ, სადაც მისი ნამდვილი ადგილია. მიხ. ჯავახიშვილმა რომანი დასწერა და ჯაყო მწერლობაში შეიყვანა. რატომ? იმიტომ რომ ჯაყოს მოქმედება ავტორისთვის დანაშაული არ არის. ის ეპოხის ფაქტია, რეჟიმული მოვლენაა. ჯაყოს საქციელი ნება დართულია (ვისგან?) და ავტორი სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ ასე უცქერის მას თვით მარგოც. მარგოს ადგილას, სხვა იქვე ხეზედ ჩამოიხრჩობდა თავს. მაგრამ შერცხვენილი, დაკბენილი და კაბა ჩამოხეული მარგო მაინც ქმართან მიდის. რა დაგემართა? ეკითხება ქმარი, ცოლი არაფერს ეუბნება და იმ ღამესვე, თუ მეორეს ჯაყოს ისევ გვერდით იწვენს. ასე გადიან დღეები, რომლის განმავლობაში და განსაკუთრებით ღამღამობით, მარგო ფიქრობს, რომ ჯაყოს სახით მან თეიმურაზზედ უკეთესი ქმარი იშოვა და საქმე თავდება ისე, რომ ჯაყო მარგოზედ ჯვარს იწერს. რომანის უფაქიზეს წუთად ალბად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ქორწილს ესწრობა თვით თეიმურაზი. ამით ვათავებ რომანის შინაარსს და ვფიქრობ რომ დანარჩენი რამ არც არსებობს რომანში. ამ დიდ ურიგობას ავტორმა ერთი რიგიანი ამბავიც არ დაურთო მთელს წიგნში.

არის «ჯაყოს ხიზნები» მხატვრული ნაწარმოები? საამისოდ მასში ბევრია მდაბიურობა და სულ ცოტა ის «არ ვიცი რა»,ურომლისოდ წერილს მხატვრული ნაწარმოები არ დაერქმევა. მოდის იგი მშრალი, მოკლებული სიმპატიას და თუ შეიძლება ასე ითქვას—ულვთო! როგორც ვსთქვი, ავტორი აგვიწერს ქართულ ყოფას ბოლშევიკურ ჩარჩოში. მისი გმირია მარგო, მისი გმირია თეიმურაზი, მისი გმირია, დასასრულ, ეს ყოვლად აუტანელი ჯაყო, რომელსაც ღვთისნიერი ადამიანი არ გაუჩნდა, რომ კისერში ჰკრას და კარში გააგდოს. პირიქით, მარგოს სახით ავტორმა ორი ათას წლოვანი ქართული კულტურა ჯაყოს მიუგდო. შეიძლება მითხრან, რომ ასეთ ყოფაშია სწორედ საქართველო. დიახ! მაგრამ საქართველო იბრძვის! მარგო? მარგოს შეიყვანენ ტყეში და იქ დავლა ხდება ტურტლიანი ადამიანის, მიიყვანენ სოფელში და იქ ჯვარს დაიწერენ მასზედ, სცემენ, როგორც სცემჟნ ჯაყოები თავის ცოლებს მუდამ და მერე ზურგზედ საფქვავ აკიდებულს წისქვილში გზავნიან, დავიწყებულია არა მარტო შოპენის ჰანგები, არამედ მადონას სახეც, რომლის მატარებელი ერთხელ მარგო იყო. არის ეს უბედურება, რომ კაცს გული დაეწვას მაზედ? არა, ეს უსიტყვობაა გასაოცარი და შემაძრწუნებელი! ამიტომ არის, რომ მარგო მკითხველში სიბრალულს არ იწვევს. არის ერთი არსება, რომელსაც ეცოდება ის. რა ბედნიერი იქნებოდა მარგო, რომ ეს ადამიანი უცხო იყოს მასთვის? ვინ იცის, იქნება ამ უცხო კაცთან სხვა ახალი ცხოვრება მარგოსათვის კიდევ შესაძლებელი ყოფილიყო. მაგრამ ეს ადამიანი თეიმურაზია—მარგოს ქმარი—გარემოება ყველაზედ უფრო წყეული მთელს რომანში და მარგო იღუპება სწორედ ამ მიზეზის გამო.

ვინ არის თეიმურაზი? ამ ადამიანის დასურათებით ავტორმა რომანში თანამედროვე ქართველი კაცის სახე მოგვცა. თეიმურაზი მეტია ვიდრე უბრალო ქართველი კაცი. ის ინტელიგენტია—ქვეყნის მარილი! მაგრამ ამ მარილისაგან მთელი საქართველო მლაშდება. თეიმურაზი შემთხვევითი მოვლენა არ არის რომანში. ის არც მარტო მიხ. ჯავახიშვილის ქმნილებაა. თეიმურაზი ძველი ცოდოა ბოლო ხანების ქართული მწერლობისა, რომელიც მუდამ ოცნებობდა ერთი ისეთი უმსგავსი ტიპის შექმნაზედ, რაც მთელ საქართველოს აამყრალებდა. ვერასოდეს ვერ გაიგებთ, რა აიძულებს ფსიქოლოგიურად ქართველ მწერალს ასე მიდრიკოს თავისი შემოქმედება, მაგრამ სამწუხარო ეს არ არის. ამ ტიპს ბევრი მწერალი ხატავდა და ბოლოს ჯავახიშვილმა სავსებით ჩამოხატა. დავიწყებულია ისტორიაც და მიმდინარე ცხოვრება, სული, რომელმაც შექმნა ქართული ზნეობა და ადამიანები, ვინც ამ სულს ატარებდნენ. ალარაფერი ეს არ არსებობს და არის მხოლოდ თეიმურაზ ხევისთავი ერთად ერთი ჩამომავალი და მემკვიდრე ოცი საუკუნის ცხოვრებისა! მერე ვინ არის თეიმურაზი? ის მოკლებულია იმასაც, რასაც ილია ჭავჭავაძე «ცით მონაბერ სულს» უძახდა და თან იმდენათ კეთილი იყო, რომ არ დაიშურა ის არც ლუარსაბისათვის, არც დარეჯანისათვის. მიხ. ჯავახიშვილი განხორციელებული ბოროტებაა. მან იცის მხოლოდ ნაკლი და ადამიანის არც ერთი ღირსება. აქედგან წარმოსდგება მისი რომანის ნაკლიც, თეიმურაზი უმზგავსებაა, რომელსაც ვერვის დაამზგავსებ, მაგრამ შედარება მაინც საჭიროა. ჰამლეტი ერთი უსრულესი ლიტერატურული ტიპია მსოფლიო მწერლობაში. ის გვაოცებს ჩვენ თავისი სულის თვისებათა სხვადასხვაობით და მოქმედების სიუხვით, რასაც იგი მუდამ ერთსა და იმავე მარცხამდე მიჰყავს. მაგრამ უგემურ გრძნობებს იგი არასოდეს არ გვილვიძებს, მას აქვს ნაკლი, იქნება ერთი, იქნება ათასი, მაგრამ დანარჩენი თვინებანი მისი სულისა მაღალნი არიან, გვხიბლავენ ჩვენ და ჩვენი სული მუდამ ამ მშვენიერ დანიის პრინცის ამალაში იმყოფება, შეიძლებოდა თეიმურაზიც სუსტი ყოფილიყო ჯაყოსთან და ბოლშევიზმთან ბრძოლაში, მაგრამ «ცით მონაბერი სული» მასაც ჰქონოდა. ავტორმა ესეც დაიშურა მისთვის. სდგას იგი ჩვენს თვალწინ ვით სახედარი და მოწიწებით ატარებს იმ სიბინძურის ტვირთს, რომელიც ავტორმა აჰკიდა. საკმაოა ეს ტვირთი ვინმემ გადმოუგდოს და თეიმურაზი რიგიანი ადამიანი დადგება. ავტორი ამის ნებას არვის აძლევს. «გინდა ისევ ჩემი ქმარი იყო» ეკითხება მარგო, ვიდრე საბოლოოდ ჯაყოს ცოლი გახდება და უნდა რომ თეიმურაზმა «ჰო» უთხრას. თეიმურაზის ნაცვლად ავტორი ეუბნება «არას». თეიმურაზს სიკვდილი უნდა. მოკვდება და რიგიან ადამიანად იქცევა. ამიტომ თეიმურაზი წყალში ვარდება. ავტორ[illegible]რგი მცურავია და წყლიდგან გამოჰყავს. თეიმურაზი გაიქცევა... შორს მარგოსაგან, შორს ამ საზარელ ჯაყოსაგან, გაუმარჯოს სხვა ცხოვრებას! ავტორი თეიმურაზს დილიჟნის ბილეთს აუღებს და ისევ ჯაყოსთან მოჰყავს...

სულ სხვაა ჯაყო! ბედი მომეც და სანეხვეზედ დამსვიო—ამბობს ქართული ანდაზა. ჯაყო მთელი თავისი სიცოცხლე ნეხვზედ იჯდა, ამიტომ არის იგი ასე ტურტლიანი, მაგრამ ბედი ჰქონდა. მისი ბედი ბოლშევიზმი არის. რა არ ხდება ცხოვრებაში, ვინ არ ეფარება ღვთის კალთას და დავეთანხმებით ავტორს, რომ არის ჯაყოსთანა ხალხიც. მაგრამ არ არის არავითარი საჭიროება, რომ ჯაყოსთანა «მართალი» ტიპი მწერლობაში იყვეს შეყვანილი. ხელოვნება სიმბოლოს საჭიროებს და არა ასლს. ქვის კვარცხლბეკზედ რომ ქვისავე ცხენის სახება დასდგათ, ეს იქნება ქანდაკება და სიმბოლო. მაგრამ იმავე კვარცხლბეკზედ რომ ნამდვილი ცხენი შესვათ, ნიჩაბიც მოგინდებათ რომ მისი ფუნე ხვეტოთ. აი განსხვავება ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის! ჯაყო არამც თუ ქართული ტიპი არ არის (ტყუილად არ არის ჯაყო—ოსი!), ჯაყო რომანში—ნამდვილი ცხენია კვარცხლბეკზედ. ის ჭიხვინებს, ეს თითქოს ავტორსაც მოსწონს, მაგრამ ადრე თუ გვიან ცხენი თავლაში უნდა შეაგდო. ჯაყო ბოლშევიკია, აღარ მახსოვს, აქვს თუ არა მას პარტბილეთი, მაგრამ ეს არც საჭიროა. ჯაყო ბოლშევიკია იმდენად, რამდენად ბოლშევიზმი მდგომარეობს იმაში, რომ უვარგისებმა აჯობონ უკეთესებს და უვარგისებმა მართონ უკეთესები. ავტორმა ყველაფერი ჩაიდინა და ჩაიდინა განზრახ, რომ თეიმურაზი დაემდაბლებინა, ამაში დიდ შედეგებს მიაღწია, მაგრამ თეიმურაზი ავტორის უნებურად ჯაყოზედ მაღალი დარჩა, როგორც ადამიანი და ბოლშევიზმი აქ მდგომარეობს იმაში, რომ ჯაყო-ცხენი ადამიან-თეიმურაზს სჯობნის. თანაუგრძნობს ამას ავტორი? მეტად ფაქიზი კითხვაა. კაცს რომ თერთმეტჯერ დაუპირებ დახვრეტას, შეიძლება აქციო არარად, მაგრამ არასდროს ბოლშევიკად! იქნება ამით აიხსნება, რომ ჯავახიშვილმა ისეთი დუნე ხელები მისცა თეიმურაზს, რომ მან ვერასოდეს ისინი მაღლა ვერ ასწია. მერე ვინ იტყვის, რომ თეიმურაზს, ერთხელაც არის, სურვილი არ ჰქონდა კარგად გაეწნა ჯაყოსათვის?

ამ სურვილში გამოეყო ავტორი თეიმურაზს და ამან გამოჰყო მისი რომანიც ცხოვრების სინამდვილეს. მათ შორის არავითარი მსგავსება არ არის. არ არის მსგავსება მით უმეტეს ქართულ ცხოვრებასთან. როგორ უნდა შევადაროთ დღევანდელი ქართული ცხოვრება მისი თავდადებული ბრძოლით უკეთესი მერმისისთვის, ნამდვილის ტრაგედიით და ნამდვილის გმირებით, რომლებიც ისე იღუპებიან, რომ წყლიდგან ისინი ალარავის არ გამოჰყავს, ამ მოსაწყენ რომანს, სადაც გმირები აღბეჭდილნი არიან არა ნაკლით, როგორც ეს სჩვევით ადამიანებს, არამედ სიბინძურით, სიმდაბლით და უსიტყვობით. ქართული ცხოვრება მოთხრობის გარეშე დარჩა. იქ შევიდნენ სხვები, იქნება ესენიც ქართველები, მაგრამ მოკლებულნი ღვთიურ სახეს და ადამიანურ სულისკვეთებას და არა დღევანდელი, არა ახალგაზდა, არა მებრძოლი საქართველო. და არც ამ საქართველოსათვის არის დაწერილი ეს წიგნი. ის დასწერა კარგმა ავტორმა, მაგრამ ცუდი მკითხველისთვის!

შ. ამირეჯიბი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი.

(1846—1925)

შარშან შემოდგომაზე ლონდონში გარდაიცვალა ვარლამ ჩერქეზიშვილი. მისი ცხოვრება საყურადღებოა. საქართველოს განთავისუფლების ისტორიაში იგი დაიჭერს შესაფერ ადგილს.

ვარლამი დაიბადა თოხლიაურში, იმ სოფელში, რომელსაც რუსებმა პირველად დაუშინეს ზარბაზნები, 1812 წელს, კახეთის აჯანყების დროს. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გარდმოცემა ამ საშინელი ბრძოლისა, ჯერ კიდევ წამლის სუნი ადიოდა მამა-პაპის დანგრეულ სასახლის ქვებს, და ვარლამის სულში მალე აიჭრა მწვავე შეგნება მისი მოვალეობის ვერაგულად დამხობილი ერის წინაშე. რუსეთის იმპერიალიზმი—აი მტერი, აი ის ველეშაპი, რომელიც ახრჩობდა ქართველ ერს და სპობდა მის მომავალს.

არის ერთნაირი ჩიტი, ტანით შაშვის ოდენა, რომელიც ხშირად ებრძვის ერთი ჯურის უშველებელ გველს. ეს ჩიტი უშიშრად დაუსკუპდება ხოლმე ამ გველს წინ და უცხადებს პირდაპირ ბრძოლას: აფრინდება, ცქვიტად ჰფრთხიალებს გველის თავზე, შეირჩევს მომენტს და ჩაჰკრავს თავის ქინძისთავებურ ნისკარტს შუბლში... საკვირველია, საიდან იცის ამ ჩიტმა, რომ სწორედ აქ არის ნერვიული ცენტრი. უშველებელ გველს უბნელდება შეგნება, იკლაკნება და კვდება.

ვარლამის ბრძოლა მაგონებს ამ სურათს. ის პატარა ჩიტი იყო, რომელიც, ახალგაზდა სტუდენტის სახით, გადმოფრინდა თბილისიდან პეტერბურგში და დაუსკუპდა წინ იმ გველეშაპს, რომელსაც ჰქვიან რუსეთის იმპერიალიზმი. აი ის საშინელი ცხოველი, რომელიც ახრჩობდა მის სამშობლოს. აი მისი ნერვიული ცენტრი: ერთი მაგარი დაკვრა—და შეიძლება დაიბზაროს მთელი რუსეთი, განთავისუფლდეს ყველა დამონებული ერი... ვარლამმაც აიღო ხელში ყუმბარა, მიუახლოვდა, მზად იყო ეთხლიშა შუბლში, მაგრამ... თავგანწირულმა მზადებამ მიზანს ვერ მიაღწია. მალე, სასამართოს გადაწყვეტილებით, 24 წლის სტუდენტი, ტუსაღის ფარაჯაში და ფეხებზე ბორკილების ჩხარუნით, ვარლამი მიდიოდა ციმბირის ტუნდრებში კატორღისაკენ.

ეს ამბავი შეიძლება არც კი მისულა მაშინ საქართველომდე. შეიძლება, მხოლოდ თოხლიაურში ჩამოცვივდა მდუღარე ცრემლი უბედურ დედას... ვინ იცის, რამდენი დაიღუპა აგრე და რამდენი ათასი მამულიშვილი იღუპება დღესაც? სად, რომელ ქვა და ყორეზე, რომელ ძაგვსა და ბარდებზე არ არის მიფლეთილი საწყალი ხორცი ქართველი ერისა? ციმბირი, სპარსეთი, ოსმალეთი, ევროპა,—სად არ იყვნენ გადასროლილნი საქართველოს შვილები იმ სახელოვან ბრძოლაში, რომელსაც—რამდენი საუკუნეა—აწარმოებს პატარა, მაგრამ გმირული საქართველო...

მაგრამ ვარლამი არ იყო ისეთი პიროვნება, რომ ადვილად მოეხარა ქედი შავი ბედის წინ. გავიდა ხუთი თუ ექვსი წელიწადი და მან თავი ამოყო... შვეიცარიაში. როგორ მოახერხა გამოქცევა კატორღიდან, როგორ დაახწია თავი დარაჯებსა და პოლიციას, როგორ გადალახა ეს უშველებელი მანძილი? მაშინ ხომ არ იყო რკინის გზები? ალბად ვარლამი იმალებოდა დღისით, მიდიოდა ღამე. წარმოიდგინეთ მისი ყოფა სადმე ციმბირის დაბურულ ტყეში, სადაც დამშეულ მგლების მეტი არ დაძრწის-რა, ან რუსეთის სტეპებში? მხოლოდ «ვარსკლავთა თანამავალთა» თუ დაინახავდა ცაში, ღამ-ღამობით.

შვეიცარიაში მან დაიწყო გაზეთის გამოცემა რუს-ემიგრანტებთან ერთად. მაგრამ მალე გამოირკვა სხვადასხვაობა მათი მიმართულებისა. რუსები იბრძოდენ უფრო რუსეთის ავტოკრატიულ რეჟიმის შესაცვლელად, ვარლამის მიზანი კი იყო საქართველოს განთავისუფლება. საერთო ენა არ აღმოჩნდა და თანამშრომლობა შესწყდა. ვარლამმა განაგრძო მუშაობა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემეში—საფრანგეთში, ბელგიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში. მუშაობდა არა მარტო კალმით, არამედ სიტყვითაც, სხვადასხვა სოციალისტურ წრეებში, გარდა მარქსისტულისა. თეორიულად ვარლამი მალე დაუახლოვდა ანარქისტებს, ვინაიდან ანარქისტული დოქტრინა იძლეოდა მეტ გარანტიას პატარა ერების განთავისუფლებისათვის, ვიდრე მარქსისტული დიქტატურა და ცენტრალიზმი. მის ახლო მეგობრები იყვნენ: პოლ რეკლუ, ნაისი, კრაპოტკინი, და სხვანი.

ვარლამი ხშირად ჩამოდიოდა საქართველოში, მალულად რასაკვირველია. პირველად მე იმას შევხვდი და გავიცანი 1893 წელს. ის ჩამოვიდა მაშინ განგებ: საქართველოს რუსეთთან შეერთების მეასე წლის თავის საზეიმო დღეობის მოსაწყობად. ამ აზრმა ბევრი გააკვირვა, ბევრი აღაშფოთა, მაგრამ ვარლამი ამტკიცებდა ამის აუცილებელ საჭიროებას ხალხის გამოსაღვიძებლად...

1905 წლიდან რუსეთი დაადგა ვითომ რეფორმების გზას და მალე გამოაქვეყნა «საკონსტიტუციო თავისუფლებანი». ვარლამი, რომელიც ყოველთვის გუშაგად ედგა საქარველოს ინტერესებს, მაშინათვე დაბრუნდა საქართველოში და ჩვენ, ე. ი. ვარლამმა, მიხაკო წერეთელმა და მე, შეუდეგით გაზეთის გამოცემას. პირველივე ნომერში მთლიანად იყო დაყენებული საკითხი საქართველოს პოლიტიკური უფლებისა, თანახმათ 1783 წლის ხელშეკრულებისა. რა თქმა უნდა გაზეთი მაშინადვე დაკეტილ იქმნა და მე როგორც რედაქტორს, გადამიწყვიტეს კავკასიიდან გადასახლება.

მაგრამ ვარლამი არ ისვენებდა. 1907 წელს ჰააგაში უნდა მომხდარ იყო საერთაშორისო კონფერენცია. გადავწყვიტეთ იქ შეგვეტანა მოთხოვნილება საქართველოსი, თანახმად მისი უფლებისა, და ამისთვის შევუდექით ხელის მოწერის მოგროვებას. სია ხელის მომწერთა მალე გაიზარდა. ვარლამი გაემგზავრა ევროპაში და ერთი ნაწილი იმ სიისა თვითონ გაიტანა, ცოტა გვიან მეორე ნაწილი გამოვიტანე მე და და ბელგიაში დავეწიე ვარლამს. ჩვენი პეტიციის ტექსტი შეადგინა ცნობილ პროფესორმა ნაისმა (Nys) და ინგლისში დაარსებულ (იმავე ვარლამის მიერ) «საქართველოს საზოგადოების» შემწეობით პეტიცია შევიტანეთ ჰააგის კონფერენციაში. ამ პეტიციას ვარლამმა მე დამადევნა უკან კულისებში საპროპაგანდოდ. მქონდა აგრეთვე სარეკომენდაციო წერილებიც (ლეონ ბურჟუას და დ'ესტურნელ დე-კონსტანთან). კონფერენცია, რასაკვირველია, ამ პეტიციის განხილვაში არ შესულა, მაგრამ ჩვენს ცდას მოჰყვა მაინც ერთი შედეგი: ქართველი ერის პეტიცია, გამოქვეყნებულ იქმნა ყველა დიდ გაზეთების მიერ ბელგიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკაში... საქართველოს საკითხს გაეცნო პოლიტიკურად მოაზროვნე ევროპა და ამერიკა.

ჩემდეგ ვარლამი ძველებურად განაგრძობდა მუშაობას ინგლისის და ამერიკის გაზეთებში, კრიჭაში ედგა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას, იცავდა საქართველოს ინტერესებს და თვალყურს ადევნებდა მის ძარღვისცემას. ამ მუშაობაში მის მარჯვენა ხელი იყო პატივცემული და დიდათ განათლებული მისი მეუღლე, ფრიდა, ჩამომავლობით ჰოლანდიელი, მაგრამ გულით ნამდვილი ქართველი. ვარლამი, რა თქმა უნდა, დიდის ალტაცებით მიეგება საქართველოს განთავისუ-

ფლებას. მისი მარადიული ნატვრის განხორციელებას, და ცხადია, საქართველოს დამხობამ დაამხო ამ ძველი მებრძოლის გული და სიცოცხლეც. სიკვდილის დროს ქართულად დაუწყო თურმე ლაპარაკი თავის ცოლს საქართველოზე. ვინ იცის, რა ელანდებოდა მაშინ მის ანთებულ გონებას: ყუმბარა, გველეშაპი, ციმბირი... საქართველო განთავისუფლებული და მშვენიერი... საქართველო დამხობილი და კვლავ წამებული... ვინ იცის?.-

«ტყუილად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება», ხშირათ იტყოდა ხოლმე ვარლამი.

არა, ტყუილად არ ჩაივლის... და ის პატარა ვერცხლის დოქი, რომელშიდაც ინახება ეხლა ვარლამის ფერფლი, იპოვნის თავის ალაგს სახელოვან ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

მას არ დაივიწყებს მადლობელი საქართველო.

· გიორგი გვაზავა.

ვარლამ ჩერქეზიშვილი.

მოგონება.

ეს იყო ნისლიან შემოდგომას 1909 წ., ლონდონის ერთ უსუფთაო უბანში უაიტჩეპლში. სადაც პირველათ შევხდი ვარლამ ჩერქეზიშვილს: ის იქ მოსულიყო, როგორც მე, თავის მეგობარ კროპოტკინთან ერთათ, რუსეთის ემიგრანტთა ერთ-ერთ კრებაზე. ორ «თავად-ანარქისტს», როგორც მათ ინგლისელები უწოდებდენ, უფრო მეგობრულათ, ვინემ ირონიით, საპატიო ადგილი ეჭირათ კრებაზე.

გათავდა მოხსენება, დაიწყეს დისკუსია. ვნახოთ, ვარლამი სიტყვას იღებს. ლაპარაკობს ცოტას, მოჭრით, ფიცხობს, მაგრამ ამ სიფიცხეში ადვილათ არჩევთ დიდ გრძნობას, სითბოს. ვერ მოესწრო გათავება, რომ მე მის გვერდით გავჩნდი. როგორ? თქვენ ლონდონში ხართ და მე არ მნახეთ, მიუტევებელია!—მომმართა ვარლამა; ჩაიწერა მისამართი და მაშინვე წარუდგინა ჩემი თავი კროპოტკინს.

მეორე დღეს ვარლამი უკვე ჩვენსას გაჩნდა მეუღლითურთ, გაუფრთხილებლათ, რასაკვირველია. ისე მოგვეპყრენ ორივე, როგორც კარგ ნათესავებს. გამოგვკითხეს როგორ მოვეწყვეთ, რას ვაკეთებდით. ვერ ვასწრებდით პასუხს, რომ მყისვე ვიღებდით მათგან რჩევა-დარიგებას. გავათავეთ იმით, რომ მე ინგლისურის გაკვეთილები ვარლამის მეუღლესთან ამეღო და ამისათვის კვირაში ორხელ უნდა მევლო მათთან. ამის შემდეგ ჩვენ ძალიან ხშირათ ვხდებოდით ერთმანეთს თითქმის ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. სანამ ლონდონს დავტოვებდით.

ამ გაკვეთილების დროს მე დავინახე, თუ რა დიდ განძს წარმოადგენდა ვარლამისთვის მისი შედარებით ახალგაზრდა მეუღლე. ტომით ჰოლანდიელი, ხოლო გულით ნამდვილი ქართველი, ის დიდ დახმარებას უწევდა ქმარს, ან უკეთ—მეგობარს სამწერლო ასპარეზზე. ჩინებულათ მცოდნე სამივე ევროპიულ დიდი ენისა, ქ-ბ ფრიდას სწრაფათ გადაჰქონდა ქაღალდზე ვარლამის ნაკარნახევი, და თან გზა და გზა შეჰქონდა მას თავისი წვლილიც როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

მთავარ წყაროს არსებობისა ვარლამი იღებდა მაშინ შავი ქვის მრეწველთა საბჭოსაგან, რომელსაც ის აწოდებდა სახელდახელო ცნობებს მსოფლიო ბაზრის ფასებზე, და აგრეთვე ურდგენდა მას წლიდან წლამდე სტატისტიკურ კრებულს იმავე საგანზე.

ვარლამი დაბადებული პროპაგანდისტი იყო ქართული საქმისა უცხოეთში. მან იქ მოუპოვა საქართველოს მრავალი გულწრფელი მეგობარი, და ყოველ დალხინება-გაჭირვების დროს, ყოველ ამოძახილზე საქართველოდან, ის უხვათ სარგებლობდა მეგობრების თანაგრძნობას და დახმარებას საქვეყნო საქმისთვის.

სრულიად განსიკუთრებული იყო ვარლამის მეგობრობა ქართველთა უანგარო მოამაგე და-ძმა მარჯორი და ოლივერ უორდროპთან. ამ მეგობრობას, იმედია, უფრო მცოდნე აღმწერი აღმოუჩნდება. ვერ ავუვლი მხოლოდ გვერდს შოთას მთარგმნელის დასაფლავებას, რომელსაც დავესწარით 1910 წ. ზამთარში სევენოკში (შვიდი მუხა), უორდროპების სოფელში. არ დამავიწყდება სურათი, როცა ვარლამი უშვებდა განსვენებულის საფლავში ჩვენს გვირგვინს. მარჯორის თვითონ დაებარებია ანდერძად, ვინცობაა ქართველებმა მოიტანონ გვირგვინი, საფლავში ჩამატანეთო.

ვარლამი ნამდვილი პიონერი იყო ჩვენი საქმისა უცხოეთში. მან დააყენა იქ პირველათ ჩვენი საკითხი პოლიტიკურათ: მე ვგულისხმობ პეტიციას, ქართველ ერის სახელით წარდგენილს ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე 1907 წელს. ვარლამს უყვარდა ხოლმე ამ ნაბიჯზე ლაპარაკი. ერთს მშვენიერ დღეს—მიამბობდა ვარლამი ღიმილით—,როცა სხდომა გაიხსნა, კონფერენციის ყველა დელეგატებს, მათ შორის მეფის დელეგატს და თავმჯდომარეს, პეტიცია წინ მაგიდაზე ედოთ! ამ ფაქტმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა და გამოხმაურებაც ჰპოვა პრესაში, მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ნიკოლოზის გავლენას, რომელიც იყო მომწვევი თვით კონფერენციისა, პეტიციას განხილვა არ ღირსებია.

აქ საჭიროა ითქვას ორიოდე სიტყვა პეტიციის შინაარსზე, სავსებით დაყრდნობილზე იმ ტრაქტატზე, რომელიც ერეკლე მეორემ და ეკატერინე მეორემ დასდეს 1783 წ. ხშირათ მსმენია, უმეტესათ ირონიით, ვარლამი ტრაქტატის ფანატიკოსიაო. ეს მართალია, ვარლამი თვითონაც სწერდა და სხვებსაც სულ იმას ჩასჩიჩინებდა არ დაევიწყნათ ტრაქტატის გამოყენება. დღეს, ვფიქრობ, ამდენი ამბების მოწმენი, არ ვსაჭიროებთ იმის მტკიცებას, რომ ვარლამი უაღრესათ მართალი იყო. ჩაგვჩიჩინებდა იმიტომ, რომ ხედავდა, რა უდარდელათ, მეტი რომ არ ვსთქვა, ვექცეოდით ჩვენს წარსულს საზოგადოთ და ამ დოკუმენტს კერძოთ.

ადვილათ წარმოსადგენია, რამდენათ აუცილებელი იყო ვარლამისთვის ტრაქტატის მომარჯვება მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა არამც თუ დამოუკიდებელი არსებობა, არამედ თვით სიტყვა საქართველოს კონვერტზე წარწერაც აღკვეთილი იყო! ვარლამმა კარგათ იცოდა უცხოელის ფსიქოლოგია. მარტო ის ფაქტი, რომ დიდათ წოდებულმა ეკატერინემ საერთაშორისო ხელშეკრულება დასდო ერეკლესთან, სულ სხვა ელფერს სდებდა საქართველოს საკითხს, მის წარსულსა და აწმყოს.

მაგრამ ვარლამის მოღვაწეობა მარტო ამაში როდი მდგომარეობდა. ის აცნობდა უცხოეთს საქართველოს ისტორიას, მის კულტურას, ხელოვნებას, რამდენათაც ეს მარტოხელა და ღარიბ ემიგრანტისათვის მისაწდომი იყო. ის, ჩვენი ლონდონში ყოფნის დროს, სისტემატიურათ თანამშრომლობდა ნიუიორკის ერთ დიდ გაზეთში და ხშირათ გვაჩვენებდა მის ფურცლებზე წერილებს საქართველოს შესახებ, რომელსაც ზედ დართული ჰქონდა ჩვენი დაბა-ქალაქების, ციხე-მონასტრების, ტიპების ნახატები.

მეორეს მხრით, აღსანიშნავია ვარლამის მოკლე და ცოცხალი წერილები «რედაქციისადმი», რომელიც დრო და დრო თავსდებოდა სხვა დიდ გაზეთებში, როგორიცაა «ტაიმსი», «მანჩესტერ გარდიან» დე სხ. ინგლისში წერილები რედაქციისადმი პუბლიცისტიკის ცალკე დარგს ეკუთვნის; ამ საშუალებას მიმართავენ ხოლმე ცნობილი მწერლები და სახელმწიფო მოღვაწენი და ასეთი წერილები დიდ ყურადღებას იპყრობს. ვარლამიც ასე იქცეოდა, როგორც ვთქვი, და არც ერთი რედაქცია არ შეკადრებდა მას გაწბილებას, ისე პატივსადები იყო მისი სახელი.

ვარლამი თავის ერის ნამდვილი მოჭირნახულე იყო. მისი გრძნობიარე აგებულება მთლათ აღიგზნებოდა ხოლმე ქართველთა როგორც ჭირის, ისე ლხინის გაგონებაზე. მრავალ და მრავალ წლობით სამშობლოსაგან დაშორება მას გულს უკლავდა. ამიტომ, როგორც კი დადგა 1905 და 1906 წლები, ის მიექანება იქითკენ და იღებს მონაწილეობას მოძრაობაში. მას თან ახლდა, ქ-ბ ფრიდას გარდა, ჩვენი დიდი მეგობარი, ტომით ირლანდიელი, ქ-ბ დრაპორსტ, რომელიც ჩამოატარა მთელ საქართველოში. იმავ დროსვე ის გზავნის საყურადღებო კორესპონდენციებს ინგლის-ამერიკის გაზეთებში.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ ისევ გარბის ინგლისში და ცეცხლს აფრქვევს მტარვალთა წინაალმდეგ, რომელთაც აახრეს დასავლეთი საქართველო. აარსებს ქართველ ქალთა მეგობრების საზოგადოებას და აგროვებს ფულს უმწეოთ დარჩენილ ჩვენი ქვრივ-ობლებისთვის. უფრო გვიან ის აარსებს ქართულ კომიტეტს (ჯორჯიან კომიტიი) ბ. მორისის და ქ-ბ დრაპორსტის მეთაურობით.

ვარლამი გაუსწორებელი ოპტიმისტი იყო. არ შემხვედრია ერთი ქართველიც, ვისაც ისე სწამდა საქართველოს მომავალი, როგორც მას. ეს იყო არა მარტო რწმენა, არამედ სარწმუნოება მისთვის. არ დამავიწყდება ერთი გრძელი და ცხარე კამათი ვარლამთან. ქ-ბ ფრიდა თავაზიანათ მთხოვდა მეორი დღეს ასეთი რამ არ განმეორებულიყო: კიდევ ერთი ასეთი კამათი და ვარლამი ზედ გადაყვებაო—მიხსნიდა ის.

ვარლამის დებულება მდგომარეობდა შემდეგში: რუსეთის იმპერია ჩქარა დაინგრევა (კამათი იყო 1910 წ.), როგორც ძველი რომის იმპერია და მაშინ საქართველო განთავისუფლდებაო. მე ეს არ დავიჯერე, ან უკეთ—ვერ დავიჯერე და აი რამ არია მონასტერი. დამავიწყდა უბრალო უმცროს-უფროსობაც, ვიმაღლებდი ხმას, ვაწყვეტინებდი. ვარლამიც ჩემზე მეტათ ცხარობდა, მაგრამ მას ეს შვენოდა. მისი ბრალიც იყო! ის ისეთი გულჩვილი და თავდაბალი იყო, რომ ბალღსაც კი გამოეკამათებოდა. მეც ამან გამათამამა.

მეორეხელ ვარლამი უკვე თავისუფალ საქართველოში ვნახე 1920 წ. შეხვედრის უმალ ჩვენ თვალი თვალს გავუყარეთ და თავში ლონდონის კამათმა გაგვიელვა, ენა კი არ დაგვიძრავს: მე ვარლამის სახეში ვკითხულობდი გამარჯვებას, ის კი ჩემსაში დამარცხებას...

მამა დავითის აღმართზე თქვენ დაინახავდით ერთ სოფლურ ქვიტკირის ოდას; მეორე სართულზე მიმავალი კიბე ფრთხილათ უნდა აგევლოთ, რომ არ დამტრეულიყავით, და იქ იხილავდით ვარლამს და ქ-ბ ფრიდას ორ ოთახში—მთელს სართულში მეტი არც იყო. ესეც ნათესავს ეთხოვებია მათთვის. მეტათ უჭირდათ მათ ყოველ დღე ქალაქში დაშვება და ამოსვლა, ისინი ხომ აქაც თავის შრომით ირჩენდენ თავს, თან სადილიც დაბლა უნდა ეჭამათ. ბევრი ეცადენ ბინის გამოცვლას, მეგობრებიც ეხმარებოდენ, ვერას გახდნენ; ვარლამი შერჩა თავის ოდას სამშობლოს დამხობის შემდეგაც მთელი ერთი წელი.

ასე გაუმასპინძლდა ვარლამს თავისუფალი საქართველო! ცხოვრობდა გაცილებით უარესათ, ვინემ ლონდონში. მიუხედავათ ამისა, ვერ გაიგონებდით მისი პირიდან საყვედურს ვისმეს, ან რისმეს მიმართ. მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება მართველებზე მასზე არ მოქმედებდა. არაფერია, მითხრა მან ერთხელ, ახალი სახელმწიფოა, ჯერ გამოუცდელი არიან, უნდა მოვითმინოთ; თავი და თავია გარეშე მტერმა არ გაგვსრისოს, თუ ამას გადავურჩით, თან და თან გამოსწორდება ყველაფერიო.

1922 წ. გენუაში ვიყავით, როცა ევროპაში ახლათ დაბრუნებულ ვარლამისაგან მქუხარე წერილი მივიღეთ, ჩიჩერინისადმი მიმართული. იქ ის ამხელდა ახალი მტარვალების დაუჯერებელ უტიფრობას, ვითომ ქართველ მშრომელ ხალხს თვითონ შემოეყვანოს რუსის ურდოები თავის მიწა-წყალზე. წერილმა მოიარა მთელი პრესა და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ერთი თვე დაჰყო ვარლამმა პარიზში და შემდეგ ისევ ლონდონში გადავიდა საცხოვრებლათ. მას ოდნავათაც არ გასტეხია გული, მისი იმედები ეხლა უფრო ძლიერი იყო, ვინემ ოდესმე. მუშაობდა დაუღალავათ თავის საყვარელ საქმისთვის. ერთხელ მან განმიცხადა, რომ ფიქრობს საქართველოში წასვლას: დეე, რაც უნდა მიყონ, ერთი გული მოვიჯერო მათი საჯაროთ გამათრახებითო. მაგრამ მას უკვე ეტყობოდა სახეზე, რომ ამას ვერ შესძლებდა ფიზიკურათ, იმდენათ მოქანცული და დაავადებული იყო.

არაჩვეულებრივი იყო ვარლამის სიკვდილი, ისე როგორც მთელი მისი ცხოვრება. მან ენა აიდგა! საქმე იმაშია, რომ ვარლამი ბავშობიდან რუსეთში იზრდებოდა, არ ეხერხებოდა ქართული, თუმცა ესმოდა და სწერდა კიდეც. ჩემთან იყო ეკა ჩერქეზიშვილი, ვარლამის ძმის ქალი, და მან გადმომცა, რომ ვარლამი სიკვდილის წინ მარტო ქართულათ და ისიც გასაოცრათ წმინდათ ლაპარაკობდაო; თვით ბიცოლა ფრიდასაც არ ელაპარაკებოდა სხვა ენაზე და მიხდებოდა მისთვის თარგმნაო. ვარლამი, იმავე ეკას გადმოცემით, თავს საქართველოში გრძნობდა, ებაასებოდა თურმე იქ დარჩენილ მეგობრებს, იგონებდა ბავშობას, ერთი სიტყვით, ოცნებაში სცურავდა.

ვარლამი დასწვეს, მხოლოდ ფერფლი ლა დაგვრჩა—რამდენათ გაადვილებულია მისი გადატანა ჩვენში! ეგეც სიმბოლიურია ჩვენთვის. ვარლამმა შესწირა მთელი თავისი არსება ქართველ ხალხს და სიკვდილის ჟამსაც იმაზე იზრუნა, რომ მას, ხალხს, არ გაძნელებოდა წმინდა მოვალეობის მოხდა დაუვიწყარ მოჭირნახულეს მიმართ.

გუშაგი.

უცხოეთის მიმოხილვა.

«შავი გაფიცვა».

ბრძოლა ინგლისის ქვა-ნახშირის წარმოებაში დრამატიულ სახეს იღებს; მისკენაა მიპყრობილი სხვა ქვეყნების ყურადღება; უკვირთ შეურიგებლობა, ენერგია, გამძლეობა როგორც შრომის, ისე კაპიტალის ბანაკში. მეექვსე თვეა, ქვეყნის უდიდესი დარგი წარმოებისა შეჩერებულია და აქედან მასთან დაკავშირებული სხვა დარგებიც კრიზისს განიცდის. დაკარგულია გარეშე ბაზარიც, სადაც ინგლისის ქვა-ნახშირს პირველი ალაგი ეჭირა. მილიონზე მეტი მუშა გულზე ხელდაკრეფილი სდგას, ორჯერ და სამჯერ მეტი ამ რიცხვისა—ცოლ-შვილნი და ნათესავნი სტოიკურათ ითმენენ გაჭირვებას... რაღა გავაგრძელოთ, არ მოსწრებია კაპიტალისტურ ხანას მეორე ასეთი ბრძოლა. მეორეს მხრივ, საეჭვოა, რომელსამე სხვა ქვეყანას, გარდა ინგლისისა, უკატასტროფოთ აეტანა მზგავსი რამ. ხდება დემონსტრაცია, ერთის მხრით ინგლისის ეკონომიურ-ფინანსიურ სიძლიერისა, მეორეს მხრით ინგლისელის უმაგალითო სიმტკიცისა.

ბრძოლის უკანასკნელი საფეხური ცხადჰყოფს, რომ გამარჯვების სასწორი პატრონებისკენ იხრებოდა: მუშებმა იწყეს დენა მაღაროებში, ფედერაციის დაუკითხავათ, მათი რიცხვი ასცილდა 200.000! ამის მიზეზი რამდენათმე თვით ფედერაცია იყო. მან გაუშვა, მოსკოვის მეგობარ კუკის (ფედერაციის მდივანი) წყალობით მოხდენილი მომენტები კონფლიქტის გადასაჭრელათ. გაიხსენეთ, კონფლიქტის სათავე იყო ლოკაუტი და არა გაფიცვა.—აქედან ხალხის თანაგრძნობა სავსებით მუშების მხარეზე იყო. ასეთ ატმოსფერაში მუშებს შეეძლოთ ინაზე მეტის გაყვანაც, რასაც ეხლა მოითხოვენ უშედეგოთ. საანკეტო კომისიამ დაწვრილებით გამოიკვლია ქვა-ნახშირის წარმოების მდგომარეობა და დაასკვნა, რომ არსებულ პირობებში მას არ შეუძლია აიტანოს ხელფასის დღევანდელი დონე, საჭიროა ეს დაწეულ იქნას, მაგრამ იმავე დროს უნდა მოხდეს წარმოების ძირითადი რეორგანიზაცია. მემაღაროეთა ფედერაციას არ შეეძლო შეკამათებოდა ამ დასკვნებს, მას არც კი უსინჯავს ეს, მხოლოდ მოითხოვდა, სანამ რეორგანიზაცია მოხდებოდეს, მთავრობას განეგრძო სუბსიდიის ძლევა და მით ხელფასის დონე იგივე დარჩენილიყო.

მთავრობამ უარი სთქვა ამაზე: რაც გავეცით (30 მილ. გირ.), ისიც კმარა. არ შეიძლება მთელი ხალხის ხარჯზე წარმოების მარტო ერთ დარგს ვეხმარებოდეთ გაუთავებლათო—განმარტავდა ის. არა ერთი და ორი თათბირი გაიმართა ტრედ-უნიონებსა და პატრონთა შორის, მთავრობის მონაწილეობით, სადაც დაობდენ ხელფასის დაკლების და სამუშაო დროს მომატების შესახებ, მაგრამ უნაყოფოთ. მემაღაროეთა ფედერაცია გაიძახოდა: «არც ერთი პენი ნაკლები, არც ერთი წუთი მეტი! ამ დროს მთავრობამ გაატარა კანონი, რომლითაც 7 საათი სამუშაო დრო 8 საათამდის აიყვანა და მიანება დაინტერესებულ მხარეთ ამ საფუძველზე მორიგება. პატრონები ეცადენ მორიგებოდენ ადგილობრივ ტრედ-უნიონებს უშუალოთ, ზოგ ადგილას კიდეც მიაღწიეს ამას: 7-დან 7 ნახ. საათამდის მიიყვანეს სამუშაო დრო, მაგრამ საერთოთ ეს მაინც არ გავიდა მთელ დარგში, ლოკაუტი გაგრძელდა.

სექტემბრის დასაწყისში ერთგვარი გადატეხვა ხდება მუშებში, მათი ხელმძღვანელნი თანხმდებიან ხელფასის დაკლებაზე 10 პროც.დე, მხოლოდ სამუშაო დრო 7 საათი დარჩესო. მთავრობა იწვევს ორივე მხარეს მოსალაპარაკებლათ, მაგრამ პატრონები უარზე არიან. ჩვენ არ გვსურს საერთო შეთანხმება ნაციონალურ მასშტაბში, მხათ ვართ ადგილობრივ ტრედ-უნიონებს ველაპარაკოთო—მიუგებენ ისინი. ამ რიგათ, სიმძიმის ცენტრი დროსა და ხელფასიდან ორგანიზაციულ კითხვაზე გადავიდა: ნაციონალური თუ ადგილობრივი შეთანხმება? ეს მიუღებელი იყო მემაღაროთა ფედერაციისათვის, მისი პრესტიჟისთვის, და კიდევ უფრო იმისთვის, რომ ტრედ-უნიონები ცალკ-ცალკე იმდენს ვერ მიაღწევენ, რამდენსაც გაერთიანებულათ.

პრემიერმა ბოლდვინმა სცადა კომპრომისულ წინადადების გატარება, მისწერა ფედერაციას: დათანხმდით ადგილობრივ მოლაპარაკებაზე და სამაგიეროთ გავიყვან კანონს საერთო სავალდებულო კამერის დაარსებაზე, რომელიც გადასწყვეტს ყოველგვარ დავას მომავალში მუშებსა და პატრონთა შორისო. ფედერაციამ ეს წინადადება ადგილობრივ ორგანიზაციებს გადასცა და მათ იგი თითქმის ერთხმათ უარყვეს.

მდგომარეობა გამწვავდა ერთი ორად. მემაღაროეთა კონფერენციამ დაადგინა: მიეცეს წინადადება მაღაროების წყლით ამოვსებისაგან დამცველ მუშებს დასტოვონ ადგილი; აღკვეთილ იქნას უცხოეთიდან შემოტანილ ქვა-ნახშირის გადმოტვირთვა და გადაზიდვა; მოწვეულ იქნას ტრედ-უნიონების კონგრესი, რომელმაც უნდა გააწეროს სპეციალური გადასახადი მუშებს მემაღაროეთა სასარგებლოთ...

კონსერვატიული პარტიის წლიური კონფერენცია სკარბოროში მოითხოვს, თავის მხრით, გატარებულ იქნას კანონი, ტრედ-უნიონების უფლებათა შემზღუდველი, და ბოლდვინიც ჰპირდება ამას, თუმცა შარშან წინააღმდეგი იყო ამის!

მაგრამ ამასთან დაკავშირებულია კონსერვატიული კონფერენციის მეორე დადგენილება: გაუქმებულ იქნას დაუყონებლივ ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება, გაძევებულ იქნას ინგლისიდან საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენელი და მასთან ერთათ ყველა მისი ხელქვეითნი სხვადასხვა ორგანიზაციებში. კრასინი კი ეს არის ჩავიდა ლონდონში და ძლივს მოასწრო რწმუნების ბარათის გადაცემა ჩემბერლენისათვის!

საინტერესოა, მემაღაროეთა უკანასკნელი დადგენილება პირდაპირ გადმოწერილია იმ წინადადებიდან, რომელსაც ტომსკი და ძმანი მისნი აძლევდენ განმეორებით გაფიცულებს. კონსერვატორები სწორეთ ამაზე უპასუხებენ.

მემაღაროეთა კონფერენციაზე მოსკოვის აგენტების გამარჯვება მხოლოდ მოჩვენებითია. მაღაროებს არ გაანადგურებენ, ეს რუსეთი არაა; არც დოკერების და რკინის გზელების გაფიცვა მოხდება, საყოველთაო გაფიცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. მოსკოვის ჟესტს მხოლოდ იყენებენ პატრონები და მთავრობა უფრო პრინციპიალური ბრძოლისათვის ტრედ-უნიონიზმის წინაალმდეგ. მოსკოვი მხოლოდ ზიანს აყენებს მუშათა მოძრაობას ინგლისში და ხელს უწყობს რეაქციის გამარჯვებას იქ. ამასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ ისიც,რომ, მაშინ როდესაც მოსკოვი ფულს უგზავნიდა გაფიცულებს, მისი «აზნეფთი» მაზუთს აწვდიდა ინგლისის კაპიტალისტებს ქვა-ნახშირის მაგიერობის გასაწევათ!

«შავი გაფიცვა» დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ერთ მხარეს სურსათი გამოელია და მაღაროებისაკენ გაფიცულების დენა შეუჩერებულია. შეიძლება უკეთესიცაა ასე დამთავრება, რადგან კითხვა ღიად რჩება და მის ირგვლივ სხვა ხასიათის ბრძოლები მოხდება. ინგლისის მუშათა მოძრაობა უმაღლეს საფეხურზე ადის, როცა ეკონომიური კონფლიქტი იწვევს პოლიტიკურ კონფლიქტს და სიმძიმის ცენტრი აქეთკენ იხრება. მუშათა პარტია მეორეა თავის სიძლიერით ინგლისში, მაშასადამე, ეხლა ჯერი მასზეა, თუ როგორ შესძლებს ლეგალურ ფორმებში მუშათა კოალიციურ უფლების დაცვას.

ფოლადის კარტელი.

თითქმის ორი წელიწადია მოლაპარაკება წარმოებდა გერმანია-საფრანგეთ-ბელგია-ლუქსემბურგ-სარის მსხვილ მრეწველთა შორის იმის შესახებ, რომ შემოეღოთ ერთგვარი პროპორცია ფოლადის რაოდენობისა, რომელიც უნდა დაამზადოს თვითეულმა ქვეყანამ,—და ეს იმ მიზნით, რომ შეეჩერებიათ ფასების დაცემა ამ საქონლის მსოფლიო ბაზარზედ, ან სხვა სიტყვით, მიეღწიათ მოთხოვნა-მიწოდების შედარებით ერთი და იმავე დონისათვის. ეს კიდეც მოხდა ამ დღეებში, დაარსდა ფოლადის კარტელი. აქვე მოვიყვანთ ერთ ცხრილს, რომელიც დაანახვებს მკითხველს თვითეულ დასახელებულ სახელმწიფოს მონაწილეობას ამ კომბინაციაში.

	1925 წ. დაამზადეს მილიონი ტონა	მიღწეულ შეთანხმების მიხედვით 30 მილ. ტონიდან მოუწევს თვითეულს
გერმანია	12.2	43.18 პროც.
საფრანგეთი	7.4	31.19 პროც.
ბელგია	2.4	11.63 პროც.
ლუქსენბურგი	2.1	8.23 პროც.
სარი	1.6	5.77 პროც.

მკითხველი მიმხვდარია, კარტელში მონაწილედ გამოდიან თვითეულ ქვეყნის ყველა მელითონენი, აქედან უკანასკნელნი შინ შეკავშირებული არიან წარმოებაშიც ტრესტის თუ კიდევ უფრო მჭიდრო ამხანაგობის სახით. კარტელი მხოლოდ განსაზღვრავს თვითეულ ქვეყნის მიერ დასამზადებელ რაოდენობას, წარმოების ორგანიზაცია მას არ ეხება, არც ვინ სად უნდა გაყიდოს საქონელი, შინ თუ გარეთ. ვინაიდან საქონლის საერთო რაოდენობა წლიდან წლამდე განსაზღვრულია, ფასების უთავბოლო აწევ-დაწევაც შეჩერებულია. კარტელს კარები ღიათ აქვს დატოვებული, სხვა ქვეყნებსაც შეუძლიათ მიეკედლონ. ეს მოძრაობა უკვე დაიწყო ინგლისში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვაგან.

ვერ შევჩერდებით, სამწუხაროთ, ფოლადის კარტელის დიად მნიშვნელობაზე. საკმარისია ვთქვათ, რომ ეს და სხვა ასეთი ეკონომიური შეთანხმებანი ნამდვილი და მკვიდრი საძირკველია პოლიტიკურ შეთანხმებისთვის ერთა შორის. უფრო ადრე დაარსდა, მაგ.: პოტაშის კარტელი (გერმანია, საფრანგეთი), ლიანდაგის (საფრანგეთი, ინგლისი, ბელგია), ტურბინების (გერმანია, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, ბელგია, პოლონეთი) და სხ.

ფოლადის რკინიდან მისაღებათ საჭიროა მარგანეცი. თუ გამართლდა ხმები, თითქოს ჰარიმანს მიეტოვებიოს ჭიათურის კონცესია, მოსალოდნელია, რომ ფოლადის კარტელი მას მემკვიდრედ გაუხდეს... თუ დასცალდათ ჩვენს მტრებს და მანამდის არ დაინგრენ.

დ ი ვ ე რ ს ი ა.

ჟენევა-ლოკარნო-ტუარი საშინელი დამარცხებაა მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ევროპაში. საბჭოთა პრესა იხტიბარს არ იტეხს, მართალია, მაგრამ ჩიჩერინის აგენტები ბერლინში ვერ იკავებენ თავს და აცხადებენ: მაშასადამე, გერმანია-რუსეთის ხელშეკრულება მკვდარია! მთლათ ასედაც არ არის: გერმანია ასე ადვილათ ვერ დასთმობს რუსეთს, იმდენი ინტერესები აქვს იქ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ, ლოკარნოს შემდეგ, გერმანია იძულებული გახდება შეუთანხმდეს მის დასავლეთ მეზობლებს რუსეთის შესახებაც. აი, რას ებრძოდენ ასე თავგამოდებით კრემლის მედროვენი, დასავლეთის გაერთიანებული ფრონტი მომაკვდინებელია მათთვის. მოსკოვი დივერსიას აკეთებს, რომ სხვა მხრივ მიაქციოს თავის პლებსის ყურადღება: სდებს ხელშეკრულებას პატარა ლიტვასთან და აცხადებს, მე ვარ და ჩემი ნაბადიო! რა თქმა უნდა, ლიტვასთან შეთანხებით მოსკოვი ვერ აიღებს ციხედარბაზებს, მაგრამ სულ არარაობას ცალ ულელი ხარი მირჩევნიაო—ამბობს ის. ვეჭვობთ, ცალი ხარიც შერჩეს მას, მოსკოვის «პაქტი» კოვნოსთან პროვოკაციად ჩასთვალეს ვარშავაში და პასუხად მარშალ პილსუდსკი ხელისუფლებას სათავეში მოექცა. ეს კი ისეთი მუშტია, რომ ვშიშობთ, ვოროშილოვი ლოგინ ქვეშ შეძვრა.

……

ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.

«მ ო მ ჭ ი რ ნ ე ო ბ ა»

ბოლშევიკები ყოველთვის თითო რამეთი ასულელებენ თავის ბედნიერ ქვეშევრდომებს. ელექტროფიკაცია, ავიოქიმია, სახელგანთქმული მაკრატელი და სმიჩკა, პირი სოფლისკენ, პირი აქეთ, პირი იქეთ—აი ეტაპები ბოლშევიკურ საქმიანობისა. «გრაბ ნედელიას» ხალხმა დღეს მომჭირნეობაზედ დაიწყო ლაპარაკი. მომჭირნეობაზედ ლაპარაკი ისეთ სახელმწიფოში, სადაც ხელისუფლება განსაკუთრებით ყაჩაღების ხელშია, თუ აშკარა სისულელე არა, პირმოთნეობა მაინც არის. ამ ვაჟბატონებმა თითონაც კარგად იციან, რომ საბჭოთა რეჟიმში მომჭირნეობაზედ ლაპარაკი მგლის თავზედ სახარების კითხვაა, მაგრამ სულელები მაინც კითხულობენ, მგლები მაინც უსმენენ.

არ ვიცი რატომ, ამ ხელად, მომჭირნეობის პრობლემაში კონტრაბანდის საკითხიც მოათავსეს. კონტრაბანდა «ვნეშტორგის» ღვიძლი შვილია. შეტანისა და გამოტანის მონოპოლიამ კონტრაბანდა შვა. ქართული გაზეთი «კომუნისტი» თავის რუსულ თანამოძმეს იმოწმებს და გადმოგვცემს, რომ კონტრაბანდაში ჩათრეული არიან არა მარტო კერძო პირნი, არამედ პროფესიონალური კავშირები და მთელი რკინის გზა.

«ჩვეულებრივ მგზავრების ბარგის გარდა, ორთქლმავლების, ტენდერების, საფოსტო ვაგონების, ვაგონ რესტორანების და სხვათა საშუალებით, კონტრაბანდა გამოაქვთ გამცილებლებს, კონდუქტორებს, ბარგის დამნაწილებლებს, მზეთავებს და რკინის გზის სხვა მოსამსახურეებს».

თუ მხედველობაში მივიღებთ რომ საბჭოთა სახელმწიფო უმთავრესად ამ «მზეთავების» სახელმწიფოა, გამოდის რომ კონდრაბანდას ეწევა მთელი სახელმწიფო. ვერ გაგვიგია ვილას უჯავრდებიან ბოლშევიკები? თუ ასე სურთ «მზეთავებს» და «ბარგის დამნაწილებლებს», ჩანს ასეთი ყოფილა სუვერენული სურვილი ხალხისა. მაშ ვილას და რაღას უჯანყდებიან ბოლშევიკები? გაცილებით მარტივი იქნებოდა, ბოლშევიკებმა თავის სახელმწიფოს სახელი შეუცვალონ. არა «საბჭოთა კავშირი», არამედ «კონტრაბანდისტთა კავშირი»!

ინტერეს მოკლებული არ არის ისიც, თუ რა «გამოაქვთ» ამ «მზეთავებს» და სხვა პატიოსან ხალხს. გაზეთი ამის ცნობასაც გვაწვდის:

«ჩრდილოეთის რკინის გზაზედ ვაგონ რესტორანის მოსამსახურეებს აღმოაჩნდა ქალის წინდები, პუდრი, სადაფის ფოლაქები და... სპირტი. ბელორუსია-ბალტიის რკ. გზაზედ დაიჭირეს მზეთავი, რომელსაც საგანგებოთ შეძენილ ორკედლიან ზეთის ჭურჭელში დაემალა რამდენიმე ათეული წყვილი ქალის აბრეშუმის წინდა. ამავე რკინის გზაზედ საბარგო კონდუქტორს აღმოაჩნდა 114 წყვილი ქალის წინდა».

მოკლედ. მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში ყველა ქალის აბრეშუმის წინდებით ვაჭრობს. მზეთავიც!

გ ლ ე ხ კ ო მ ი დ ა მ უ შ კ ო რ ი!

მომჭირნეობისთვის ბრძოლა საჭიროა, მაგრამ როგორ? და ბოლშევიკური გენიალობა აქაც თავისას არ იკლებს. დღევანდელი ბოლშევიკური პრესის მშვენებას გლეხკორი და მუშკორი შეადგენს. პირველი სოფლიდგან სწერს კორესპოდენციებს, მეორე ქალაქიდგან. დასმენა იმისა, თუ სად როგორ იფლანგება ხალხის ქონება და ფული მათი კომუნისტური მოვალეობაა. მაგრამ გლეხკორებს და მუშკორებს ამისათვის სცემენ და რუსეთში ხოცავდნენ კიდეც. საჭიროა სახელმწიფო გარანტიები, რომ მუშკორებს და გლეხკორებს ცხვირში ძმარს არ ადენდნენ. ამისათვის ტფილისში მთელი თათბირი შესდგა. ჩეკის ყოფილმა თავმჯდომარემ და პროკურორმა კ. ოკუჯავამ მთელი პროექტი წაიკითხა მუშკორების და გლეხკორების «პიროვნების ხელშეუხებლობისა».

ყველაზედ საყურადღებო ამ გარანტიებში ის არის, თუ ვისგან იცავენ ამ კორესპონდენტებს. პროექტი ამას არა მალავს. მომჭირნეობის ცხოვრებაში გატარებას, ამბობს პროექტი, შეიძლება მოჰყვეს, რომ ადმინისტრატორებმა მუშკორებს დევნა დაუწყონო. და ცემაც, დაუმატებთ ჩვენ. მაგრამ ვინ არიან ეს ადმინისტრატორები? ბოლშევიკურ სახელმწიფოში ადმინისტრატორები, ცხადია, თითონ ბოლშევიკები არიან. მაშასადამე გამოდის: მუშკორი სწერს, ადმინისტრატორი სცემს, პროექტი იცავს. ესე იგი: ჯერ ადმინისტრატორმა უნდა მოიპაროს, მერე მუშკორმა უნდა დასწეროს, მერე ადმინისტრატორმა უნდა სცემოს და მერე პროექტმა დაიცვას. ბოლშევიკური მომჭირნეობაც ამასა ჰქვიან!

ი ნ გ ლ ი ს ე ლ ი მ ე მ ა ღ ა რ ო ე ბ ი დ ა ლ ე ჩ ხ უ მ ე ლ ი ა ს ლ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი.

«ინგლისის მემაღაროების გაფიცვამ ლეჩხუმშიაც ჰპოვა გამოძახილი». ასე იწყება ერთი კორესპონდენცია «კომუნისტში».

მაგრამ დავიწყოთ თავიდგან. ამჟამად ინგლისში მემაღაროეთა გაფიცვაა. მოსკომა ამის გამო თავის მშიერ და ტიტველ მუშებს ბეგარა დაადო და გაფიცულებს ექვსი მილიონი ოქროს მანეთი გადუგზავნა. ინგლისელი გაფიცული თავს კარგადა გრძნობს. გაფიცვის კომიტეტისაგან ფულს იღებს და რადგანაც გაფიცვა ზაფხულში მოხდა, ამ ფულით და გაფიცვის შედეგების მოლოდინში, კურორტზედაც წავიდა. ის გარემოება, რომ ამავე დროს მისი რუსი ამხანაგი მუშა, რომლის ფულითაც დღეს ის სცხოვრობს, თავს კონტრაბანდით ირჩენს, ინგლისელ მემაღაროელს სრულიადაც არ აფიქრებს. რა წაგებაშია! წაგებაშია მხოლოდ ინგლისი, რომელსაც ქვანახშირის ამოღება შეუმცირდა და ბაზარს ჰკარგავს. უფრო მეტიც. ინგლისს თავისთვისაც აღარ ჰყოფნის ნახშირი და იძულებულია სხვაგან იყიდოს. როგორა გგონიათ, სად იყიდა ინგლისმა ნახშირი? მოსკოვისაგან. ესე იგი, მოსკოვი ცალი ხელით გაფიცვას უწყობს ინგლის, ცალი ხელით იმავე ინგლისზედ თავის ნახშირს ასაღებს. უფრო დიდი ღალატი გაფიცულ მემაღაროებისა, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, მაგრამ ბოლშევიკურ ენაზედ ამას ინგლისის რევოლუცია ჰქვიან.

აი ამ რევოლუციამ ჰპოვა გამოძახილი ლეჩხუმში. ცაგერელებმა ინგლისელ მემაღაროელების სასარგებლოდ საღამო გამართეს. ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო—სთქვა კალე ასლანიკაშვილმა და საღამოზედ ისიც გამოცხადდა. ჩვენში რევოლუციის დახმარებაც ვახშმით თავდება და სუფრას კალე ასლანიკაშვილიც მიუჯდა. სხვები საცივს სჭამდნენ, კალემ ჭიქებს დაუწყო ჭამა. აი კორესპონდენტის სიტყვები: «ცხრა ჭიქა ისე შეატკბანურა, როგორც ნორჩი კიტრი». ჭიქებიდგან კალე ბოთლებზედ გადავიდა და ინგლისელ მემაღაროელების «დახმარება» იმით დაათავა, რომ, დამსწრეებს ჩვენში რომ იტყვიან, ერთი კარგად აადო! კორესპონდენტი მილიციაზედ გულმოსულია. ყოველივე ამას უცქეროდა და ხმა არ ამოიღოო. გულმოსულია თვით ასლანიკაშვილზედაც. საზოგადოებას ინგლისელი მაღაროელებიც დაავიწყა და ვახშმის მადაც წაუხდინაო. ეს გასაგებია. მაგრამ ასლანიკაშვილი მაინც ყოჩაღი ბიჭი ყოფილა. ცხრა ჭიქას ყველა ბოლშევიკიც ვერ დაკვნეტს, ასლანიკაშვილისა კი ჩვენ ისიც არ ვიცით, კომუნისტია, თუ არა?!

ჩვენ წინადადება შეგვაქვს ცაგერის აღმასკომში ასლანიკაშვილს გვარი შეუცვალონ. ასლანიკაშვილი კი არა სრული ასლანიშვილი!

გ ე რ მ ა ნ ი ი ს მ უ შ. მ ე ო რ ე დ ე ლ ე გ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი.

«კომუნისტი» დაწვრილებით აგვიწერს როგორ შეხვდა «ქართველი პროლეტარიატი» გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციას. ეს არის მეორე გერმანული დელეგაცია, მაგრამ თუ რამდენი დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოში საერთოდ, «კომუნისტს» აღარც კი ახსოვს. სადგურზე დახვდნენ ა. მიქაძე, ი. ჭელიძე, მარკმანი, შეფტერი და სხვანი. მარკმანი და შეფტერი, რასაკვირველია, ქართველი პროლეტარიატია. შემოსწრებულებმა სიტყვები სთქვეს. დამხვდურებმაც სიტყვებით უპასუხეს. კამპანია შემდეგ მუშათა კლუბში წაიყვანეს და როგორც ყოველთვის, ჯერ კარგად აჭამეს. გაზეთი არაფერს ამბობს, დაესწრო თუ არა ამ ბანკეტს კალე ასლანიკაშვილი. მაგრამ ეტყობა ბანკეტი უმისოდაც მხიარული იყო. დელეგაციის თავმჯდომარემ ამხანაგმა კერბერმა სამადლობელი სიტყვა სთქვა:

«ის რაც ჩვენ კოჯორში ვნახეთ—უტყუარი საბუთია იმისა, თუ რამდენად წინ მიდის საქართველოს კულტურული კეთილდღეობა. მშვენივრად ჩაცმული ბავშვები, რომლებსაც სახეზედ სიხარულის ღიმი უკრთის, საუცხოვოდ გამოიყურებიან. ბავშვთა ახალშენების საერთო მოწყობილობამ ძლიერ განმაცვიფრა. ასეთები მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობენ».

კერბერი და მისი ამხანაგები შემდეგ ბერლინში დაბრუნდნენ და ერთ მიტინგზე, ზემო ნათქვამს შემდეგი დაუმატა:

«მე ჩემი თვალით ვნახე, როგორ ცხოვრობენ დატუსაღებულნი მენშევიკები ტფილისის ციხეში. ნეტავი მეც ისე მაცხოვრა!»

კაცი მთლად იდიოტი და უსუსური უნდა იყოს, რომ ბოლშევიკურ ქვეყანაში ციხეში ჯდომა მოინდომოს და ვერ მოახერხოს. საქართველოში იმდენი ავაზაკობა ჩაიდინეს ბოლშევიკებმა, რომ გერმანელ მუშას ყოველთვის ჰქონდა უფლება პროტესტისა. კერბერს რომ ეს პროტესტი განეცხადებინა ბოლშევიკები არ მოერიდებოდნენ და სწორედ იმ ციხეში წააბრძანებდნენ, რომელიც მას ასე მოსწონს. კერბერმა ეს არა ჰქმნა და ეხლა მთელ ქვეყანას ატყუებს საქართველოში სრული ბედნიერება არისო. საქართველოში შვიდი ათასი კაცი დახვრიტეს. თუ ბ. კერბერს ყოველივე ბოლშევიკური ასე მოსწონს, დაახვრეტინოს თავისი თავი თუნდა ერთი ქართველის მაგივრად მაინც.

ბ. კერბერი აღტაცებულია კოჯრელი ბავშვებით. ნახა მან ამ შვიდი ათასი დახვრეტილის ცოლშვილი? არა! ბ. კერბერი რესტორანებში და კლუბებში დაეხეტებოდა და ქართულ პურსა სჭამდა. შეურაცხყოფილ ქართველის ენაზე ამას უსინდისო ღორმუცელობა ჰქვიან. ასე ჰქვიან ალბად პატიოსან გერმანელის ენაზედაც!

რ უ ს ე თ ი ს კ ო მ. პ ა რ ტ ი ი ს რ ღ ვ ე ვ ა.

რუსეთის კომპარტიის რიგებში გრძელდება ბრძოლა, შეუჩერებელი, დღითი დღე უფრო მწვავე, დაუზოგავი და მოურიდებელი. ევროპიული მკითხველი ჩვეული იყო მოსკოვის ოფიციალურ დეპეშებიდან და გაზეთებიდან მხოლოდ თეთრ გვარდიელების და «სოციალმოღალატე» მენშევიკ-ესერების «შეთქმულებათა» ამბების შეტყობას. ეხლა კი იგივე დეპეშები და გაზეთები ყოველდღიურათ გვაწოდებენ ქრონიკას «გაკოტრებულ ლიდერთა უმნიშვნელო ჯგუფის» უმაგალითო ურჩობის, «პარტიულ დისციპლინის აბუჩათ აგდების», «გამთიშავ პოლიტიკის გაუგონარ ფაქტების» და სხვა «ბოროტმოქმედებისას» (იხ. 3 ოქტომბრის «პრავდა»). არამც თუ არ შეწყდა ოპოზიციის არალეგალური მუშაობა, ფარული კრებები, საიდუმლო ლიტერატურის გავრცელება, არამედ—გვამცნობს სტალინის ოფიციოზი—ფარულად [illegible] საწევრო გადასახადი და, კიდევ მეტი, ამ ბოლო ხანებში ოპოზიცია, სასტიკი აკრძალვის მიუხედავათ, არ ერიდება პარტიულ კრებაზე აშკარად გამოსვლას და სტალინის ჯგუფის წინააღმდეგ ამბოხების დროშის აფრიალებას. ამით ბრძოლა ახალ სახეს იღებს, ახალ ხანაში შედის. მმართველი ჯგუფი მთელ თავის ძალღონეს ხმარობდა შეტაკების ლოკალიზაციისათვის, ბრძოლა მხოლოდ პარტიის მწვერვალზე სწარმოებდა და ოფიციალურათ უმაღლეს ორგანოების ჩარჩოს არ შორდებოდა. მხოლოდ როცა უმაღლესი ორგანო გაუსწორდებოდა, თავისებურ დაღს დაასვამდა ოპოზიციას, მხოლოდ ამის შემდეგ გადმოიტანდა ცეკა საკითხს ჩვეულებრივ პარტიულ ორგანიზაციებში არა სადისკუსიოთ, არამედ უბრალო და წინასწარ უზრუნველყოფილ დასტურისათვის. და ოპოზიცია როგორ გაბედავდა ამ კრებებზე გაჭაჭანებას! დღეს კი ზინოვიევ-ტროცკიმ მოურიდებლათ დაარღვიეს ეს ტრადიცია; სანამ 25 ოქტომბრისათვის დანიშნული კონფერენცია შეიკრიბებოდეს გამოდიან ქვედა ორგანიზაციებში, რომ აქ აშკარათ, დაუფარავათ გამართონ წინასწარი დისკუსია იმ კითხვების გარშემო, რომლებიც კონფერენციამ უნდა გაარჩიოს. ცოტათ თუ ბევრათ დემოკრატიულ პარტიაში ეს ჩვეულებრივი წესია, კომუნისტურ პარტიისთვის კი ეს მთელი რევოლიუციაა, რომელიც პარტიულ მანქანას დამსხვრევას უქადის.

ოპოზიციის მოთხოვნილებები ცნობილია. ცნობილია აგრეთვე რომ ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებში ოპოზიცია არამც თუ მთლიანი არ არის, არამედ მის სხვადასხვა ნაწილებს ერთი მეორეს საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავს. მაგრამ ოპოზიციის ბელადები გამოქნილი ტაქტიკოსებია და დღეს ისინი პირველ რიგში აყენებენ იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც მათთვის ყველასათვის საერთოა და რომელთ მიზანია სტალინის და მისი ჯგუფის დაძლევა. მათი შეტევა სწარმოებს «დისკუსიის თავისუფლების» და პარტიის დემოკრატიზაციის ლოზუნგით. 1 ოქტომბრის სხდომაზე «ავიოპრიბორ»-ის «იაჩეიკაში» ზინოვიევი—გადმოგვცემს «პრავდა»—«ლაპარაკობდა, როგორც წინათ ტროცკისტები: ბიუროკრატიზმზე და «აპარატჩიკებზე», პირში ბურთის ჩარჩაზე» და სხვ. იგივე «პრავდა» ასე ახასიათებს ტროცკის გამოსვლას ამ კრებაზე: «აპარატჩიკების» მტყუნება, დემაგოგია პარტიაში დემოკრატიის უქონლობის შესახებ, უმაღლეს პარტიულ ორგანოების ძირის გათხრა» და სხვა ასეთები.

რას ნიშნავს კომპარტიაში დისკუსიის თავისუფლების და დემოკრატიის შემოღების მოთხოვნა? ვინ არ იცის რომ ბოლშევიკების დიქტატურა დამყარებულია ქვეყანაში პარტიის განუყოფელ, თვითმპყრობელ ბატონობაზე და პარტიისაგან განსხვავებულ ყოველივე აზრის აღმოფხვრაზე, ყოველგვარ დისკუსიის და თავისუფლების უარყოფაზე? ვინ არ იცის, რომ პარტიას მხოლოდ იმიტომ შეეძლო აქამდე ქვეყნის მართვა, რომ მის წიაღშიც. იგივე წესები, იგივე თვითმპყრობლური რეჟიმი იყო გამეფებული. რუსეთს ბრძანებლობდა კომპარტია, კომპარტიას—პოლიტბიუროს ერთი აზრი და ერთი ნება, რომელზედაც შენდებოდა პარტიის და დიქტატურის მთლიანობა. საკმარისია დაუშვათ აზრთა თავისუფლება სათავეში და მთელი სისტემა გარდაუვალ აუცილებლობით აირევა და დაირღვევა. ეს კარგად ესმის ორივე მხარეს, როგორც სტალინს, აგრეთვე ოპოზიციას. და თუ მაინც ეს უკანასკნელი მოითხოვს თავისუფალ დისკუსიას და დემოკრატიას, ჩანს ის წინასწარ შერიგებია პარტიის დარღვევას, როგორც აუცილებელ მსხვერპლს საკუთარ გამარჯვების საკურთხეველზე მიტანილს. ამას ამხელს ზინოვიევის ევროპიელი ლაშქარი. გერმანიის კომპარტიის მემარცხენე ოპოზიციის წევრებმა განაცხადეს, რომ კომინტერნის მემარცხენე ჯგუფს ჯერ კიდევ გაზაფხულზე მოლაპარაკება ჰქონია ზინოვიევთან სტალინის პარტიისაგან დამოუკიდებელ ცალკე საერთაშორისო ორგანიზაციის მოწყობაზე რაც მაშინ ზინოვიევმა ვერ გაბედა, თუ მიზანშეუწონლათ მიიჩნია ტაქტიკური მხრით, მას ის ტროცკი-პიატაკოვთან ერთად ახორციელებს რუსეთის ფარგლებში: ოპოზიცია შეგნებულათ არღვევს რუსეთის კომპარტიას და ამაში მას მხარს უმაგრებს არა მარტო მნიშვნელოვანი შინაპარტიული ელემენტები, არამედ აგრეთვე დიდი ნაწილი დღევანდელ რუსეთის საზოგადოებრივ აზრისა. ოპოზიციური მოძრაობა შესუსტების მაგივრათ დღითი დღე ფართოვდება, ახალ ორგანიზაციებს და წრეებს ედება, ახალ ფორმებს იღებს. და თვით «შეუდრეკელი» სტალინი ყოყმანშია, აღარ იცის რა ჰქნას, ვერ აუღია გადაჭრილი, გარკვეული ხაზი. მაშინ როცა უმნიშვნელო წევრებს ოპოზიციისას რიცხავენ და ატუსაღებენ, გათამამებული ზინოვიევი და ტროცკი, აშკარა ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი ოპოზიციისა, თავისუფლად დაფართფაშობენ კრებიდან კრებაზე, ქალაქიდან ქალაქში, საჯაროთ «უთხრიან ძირს ხელმძღვანელ ორგანოებს».

ლენინი ცუდი წინასწარმეტყველი იყო. მაგრამ თავის პარტიას კარგად იცნობდა, მისი ძალის და უძლურების წყარო კარგად ჰქონდა შესწავლილი. და აი დღეს სრულდება ამ ცოდნაზე დამყარებული ერთი მისი პროგნოზთაგანი: «თუ თვალს არ დავიბრმავებთ სინამდვილეზე—სწერდა ბოლშევიზმის მამათ მთავარი ერთ თავის წერილში 1922 წელს (იხ. 1925 წ. 29 დეკემ. «პრავდა»)—უნდა გამოვტყდეთ რომ დღეს პარტიის პროლეტარული პოლიტიკა განსაზღვრულია არა მისი შემადგენლობით, არამედ ვეებერთელა და სრულიად განსაკუთრებული ავტორიტეტით იმ პატარა ფენის, რომელსაც პარტიის ძველ გვარდიას უწოდებენ. საკმარისია უმცირესი შინაური ბრძოლა ამ ფენის წიაღში და მისი ავტორიტეტი თუ არ დაიმსხვრევა, ყოველ შემთხვევაში იმ ზომამდე შესუსტდება, რომ მას საქმე ხელიდან გაუსხლტება».

დღევანდელი ბრძოლა არც «უმცირესია» და არც «ძველი გვარდიის» ჩარჩოებში თავსდება. «ძველი გვარდია» კარგა ხანია ანახრონიზმათ იქცა, ბრძოლა მთელს პარტიას მოედო და ჩვენც მოწამენი ვართ მთელი პარტიის «ავტორიტეტის დამსხვრევის» პროცესის, რასაც უეჭველია, მოჰყვება რუსეთის მართველობის საქმეს ლენინის პარტიის ხელიდან გასხლტომა.

X.

«მ ა მ უ ლ ი შ ვ ი ლ ი».

გამოვიდა ახალი ქართული ჟურნალი «მამულიშვილი», ორგანო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა. პირველ ნომერში მოთავსებულია წერილები შ. ამირეჯიბის, რ. გაბაშვილის, გ. გვაზავას და სხ. შინაარსი მრავალფეროვანია და საინტერესო. ჟურნალი მიზნად ისახავს ემსახუროს მთლიან ფრონტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ვუსურვებთ თანამოძმეს სრულ წარმატებას და ნაყოფიერ მუშაობას ქართველი ერის განთავისუფლების საქმეში.

Rédaction et Administration .
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : LARGILIÈRE.